# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 18 თებერვალი. 2022 წ. №27 (9365) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი




## ეროვნული თანხმობის პროცესზე მორიგი სჯა-ბაასი პრეზიდენტთან

# მოდით, ერთად გავარკვიოთ, რა გვჭირს, რა გვეშველება?!

**საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების — მუსიკოსების, მხატვრების, დიზაინერების, რეჟისორების, მწერლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიზნესმენების მონაწილეობით დღეს ორბელიანების სასახლეში ეროვნულ თანხმობასთან დაკავშირებით მორიგი განხილვა გაიმართა,** — ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა განხილვის დაწყებამდე პროცესში მონაწილე სტუმრებს მიმართა და ეროვნული თანხმობის პროცესის ფორმატთან, მის ხედვასა და პროცესის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ისაუბრა.

**„ეს პროცესი არ არის წარსულზე ორიენტირებული, მაგრამ, ჩვენ თუ გვინდა, რომ გავარკვიოთ, რა გვჭირს, რა გვეშველება, რა არის ჩვენი მთავარი პრობლემები, წარსულს უნდა დავუბრუნდეთ და მოვნახოთ ამ პრობლემების ძირი. დავინახოთ, რომ დღევანდელი პრობლემა გუშინდელიც იყო, გუშინწინდელიც და ეს სისტემური ხარვეზები მოგვყვება უკვე ოცდაათ წელზე მეტია.**

**ჩვენი მიზანი არ არის, გავარჩიოთ რომელი პარტია, ან რომელი მთავრობაა კარგი, თუ უკეთესი. ჩვენი მთავარი მიზანია აღმოვაჩინოთ ეს პრობლემები და ის მთავარი თემები, რომლებიც დღეს გვაბრკოლებს და ამ ქვეყანას წინ წასვლის საშუალებას არ აძლევს.**

**ზაფხულისთვის ამ პროცესის შედეგად უნდა შემუშავდეს დოკუმენტი და მასში ასახული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდება პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოების დაკვეთა“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ეროვნულ თანხმობასთან დაკავშირებული საჯარო განხილვები და საუბრები უახლოეს მომავალში რეგიონებში გაიშლება და მასში აქტიურად ჩაერთვება დიასპორაც.

## ლუგანსკში დაბომბვისას საბავშვო ბაღი დაზიანდა



რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ლუგანსკის რეგიონში დასახლებული პუნქტის დაბომბვის შედეგად საბავშვო ბაღი დაზიანდა, არიან დაშავებულები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას უკრაინის გაერთიანებული ძალების ოპერაციის პრესცენტრი ავრცელებს.

**„რუსეთის ოკუპაციურმა ძალებმა განსაკუთრებული ცინიზმით სროლები განახორციელეს ლუგანსკის ოლქის დასახლებულ პუნქტში, „სტანიცა ლუგანსკაიაში“. ტერორისტების მხრიდან მძიმე საარტილერიო იარაღის გამოყენების შედეგად ჭურვები მოხვდა საბავშვო ბაღის შენობას. წინასწარი მონაცემებით, ორი მოქალაქე დაშავდა“,** — ნათქვამია პრესცენტრის განცხადებაში. ამასთან, პრესცენტრის ინფორმაციით, დაბომბვის შედეგად დაზიანებულია კომუნალური ინფრასტრუქტურა, კერძოდ დასახლებული პუნქტის ნახევარი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. პრესცენტრის განცხადებით, გაერთიანებული ძალების ოპერაციის სამხედროებმა ოპერატიულად მოახდინეს დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ევაკუაცია.

## 300+300 სოციალურად დაუცველების დასაქმების სამთავრობო პროგრამა

4



ავთანდილ დემეტრაშვილი:

## გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი უნდა იყოს

4



## როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?!

3



## გზები, გზები გვინდა!

**განსაცვიფრებელი უბრალოებით და მეგობართა სიმრავლით გამორჩეული მეგზევე მეცნიერი თამაზ შილაკაძე ხვალ 90 წლისა ხდება.**

**მხნე, მუდამ ღიმილიანი, ბრძოლისთვის შემართული, თერგივით მოძრავი, გუდაურის თოვლივით სპეტაკი, საყოველთაო ქართველის ნანინანატრი პერსონა, ყველასგან გამორჩეული, სახალხო მშენებელი, სიყვარულისა და სიხარულის დიდი ოჯახის შემქმნელი, საგვარეულო დინასტიის (ინჟინერთა დინასტიის) თავკაცი, ქართული კულტურის დიდი ქომაგი, სწორუპოვარი ბერძენას (მერაბ ბერძენიშვილის) ფუძეგადგმული საქმის გამგრძელებელი, სპორტის მოამაგე და თავადაც უბერებელი სპორტსმენი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე, გაზეთის მუდამ სასურველი ავტორი და მეგობარი ხვალ, 19 თებერვალს, ტრადიციისამებრ, გუდაურის სათხილამურო ბილიკებზე შეხვდება... არ გაგიკვირდეთ, ეს მისი ცხოვრების წესია!**

**დანარჩენი დღევანდელ ნომერში წაიკითხეთ, ჩვენ კი, მუდამ ახალგაზრდა თამაზ შილაკაძეზე მხოლოდ 13 წლით უფროსი გაზეთის გონიერი მკითხველის სახელით ოთხმოცდამეათე დაბადების დღეს ვულოცავთ ამ თითით საჩვენებელ, სამაგალითო ქართველ კაცს!**

**მხნედ, ბერმუხავ!**

**სპარტაკ ქოზულია**

იხ. 6-7 გვ.

## ირაკლი ღარიბაშვილი მიუნხენს მიემგზავრება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მსოფლიო ლიდერებთან ერთად, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 18-20 თებერვალს მიუნხენში გაიმართება.**

მთავრობის მეთაური, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თავმჯდომარემ ვოლფგანგ იშინგერმა მიიწვია. კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები, როგორც პოლიტიკურ დონეზე, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლებსა და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებთან.



მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია მსოფლიოს წამყვანი ფორუმია საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის განსახილველად, რომელიც ყოველი წლის თებერვალში თავს უყრის 450-ზე მეტ გადაწყვეტილების მიმღებ მაღალჩინოსანსა და ლიდერს მთელი მსოფლიოდან, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებს განიხილავენ. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი იმყოფებიან.

## შალვა პაპუაშვილი ირაკლი კობახიძის აზრს იზიარებს

**„სრულად ვიზიარებ ირაკლი კობახიძის ახსნას ბადრი ჯაფარიძისთვის საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. მგონი, ყველა თანხმდება იმაზე, რომ უფლებამოსილების შეწყვეტას აქვს ორი განზომილება — სამართლებრივი საფუძველი და მეორე — თუ არსებობს უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, რა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი. დადგენილების მხარდაჭერა, მათ შორის, დეპუტატების მხრიდან თავისუფალი ნების გამოხატვაა“,** — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, ბიუროს სხდომაზე, ხატია დეკანოიძის განცხადების პასუხად. მისივე თქმით, პრობლემაა, როდესაც საქმე სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება და სისტემასა და სახელმწიფოს არ აღიარებენ.



**„სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა იმსჯელა და საკუთარი დასკვნა წარმოადგინა და ეს არის სამართლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება პოლიტიკურს — მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა მოცემული სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე პოლიტიკური მოსაზრებებიდან, მორალურიდან თუ თუ სხვა, დეპუტატებს მოუწოდებდით, რომ პოლიტიკურად სხვანაირი გადაწყვეტილება მიეღოთ. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მყარი სამართლებრივი საფუძველი, პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის, დამატებითი კრიტერიუმები არსებობს“,** — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## პარლამენტმა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა

**პარლამენტმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განიხილა და მესამე — საბოლოო მოსმენით 78 ხმით, 2-ის წინააღმდეგ მიიღო „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები.**

კანონპროექტის მთავარი არსი იმპორტირებულ პროდუქტზე GMP-ის სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნაა.

მოქმედ კანონში ცვლილება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ კანონით უკვე ძალაში შესულია ადგილობრივი წარმოების მედიკამენტებზე GMP-სტანდარტის მოთხოვნა და მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მწარმოებლები და იმპორტიორები თანაბარ პირობებში იყვნენ.

კანონში ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას და თანაბარი მიდგომების უზრუნველყოფას ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებლებს, საბითუმო რეალიზატორებსა და ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტიორებს შორის.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივაა და პარლამენტმა ის დაჩქარებული წესით განიხილა.

## რუსთავში ავარიული შენობები გამაგრდება

**რუსთავის ბიუჯეტი 11 მილიონი ლარით გაიზარდა და 92 მილიონ ლარს გადააჭარბა. ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძის განცხადებით, უსაფრთხო ქალაქის კონცეფციას, რუსთავის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და გაზრდილი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა, სწორედ ავარიული სახლების გამაგრება-რეაბილიტაციას მოხმარდება.**



რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტოდ გაზრდილი ბიუჯეტის მთავარი მიმართულებები რუსთაველის, ჩაპაევის, გიორგაძის, მე-14 და მე-11 მიკრო რაიონების მოსახლეობას, მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძესთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად ადგილზე გააცნო. სწორედ აღნიშულ მისამართებზე ჩაუტარდება ავარიულ საცხოვრებელ სახლებს გამაგრება-რაეაბილიტაცია.

**ავარიული კორპუსების გამაგრება რეაბილიტაციის სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება თბილისის, რჩეულიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე. რუსთაველის №11- ის, გიორგაძის №2-ის, ჩაპაევის №5-ის, მე-11 მკ-რ-ის №1, მე-14 მკ-რ-ის №10, 11 და 12 კორპუსების გამაგრება-რეაბილიტაციაზე კი ტენდერი უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.**

რუსთავის მუნიციპალიტეტის გაზრდილი ბიუჯეტიდან თანხა ავარიული კორპუსების რეაბილიტაციის გარდა, ახალი საბავშვო და რეკრეაციული სივრცეების მოწყობას, სტიქიით დაზიანებული შენობების გადახურვების შეკეთებას და სოციალურ პროგრამებს მოხმარდება.

# ჩინეთს და რუსეთს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაყოფი...



## თურქეთის მსგავსად ჩინეთსაც ხელს აძლევს, საქართველო იყოს რუსეთის ოპონენტი და თვითონ იმეგობროს საქართველოსთან

**მოუწევს თუ არა საქართველოს ჩინეთისთვის თავისი პოლიტიკური ორიენტაციის მკაფიოდ დადასტურება, როგორც ეს რუსეთთან მიმართებით ხდება? თავის დროზე ასეთი მოსაზრება ლიეტუვის ელჩმა გამოთქვა, მოგვიანებით კი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმაც დაადასტურა, რომ ჩვენი პარტნიორები დაელოდებიან, თუ რომელ ბანაკში აღმოჩნდება საქართველო.**

ხიდაშელის აზრით, ჩვენგან მკაფიო პოზიციის გამოხატვა ჩინეთისთვის შეიძლება მაშინ გახდეს საჭირო, თუ გაეროში პეკინის მიერ მასობრივად უფლებაშელახული უიღურების, ან ტაივანში შეჭრის საკითხის განხილვა დაიწყება.

ფაქტია, ჩინეთის ინტერესები კავკასიაში, კონკრეტულად კი საქართველოსთან მიმართებით მზარდია. თუმცა ჩინეთს ეს ხელს არ უშლის, რუსეთს პრაგმატული მოსაზრებით დაუახლოვდეს.

მას შემდეგ, რაც რუსეთ-ჩინეთის ლიდერებმა მსოფლიოში ძალთა გადანაწილების ახალ აუცილებლობაზე ისაუბრეს, პირველად ისტორიაში პეკინმა პუტინს მხარი დაუჭირა და ნატოს გაფართოების წინააღმდეგ ღიად გამოვიდა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩინეთს ნატოში საქართველოს სწრაფვა სულაც არ იზიდავს.

როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს საქართველომ რუსეთ-ჩინეთის დაახლოებისას და რამდენ ხანს გასტანს ამ ორი გიგანტი სახელმწიფოს, ანუ რუსეთისა და ჩინეთის მეგობრობა, რომელსაც ზოგიერთები სტალინისა და მაოს ურთიერთობას ადარებენ?

პოლიტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა სტალინისა და მაოს კონტექსტში სულაც არაა კარგი მაგალითი მათი ერთიანობის სასარგებლოდ, რადგან მაომ მერე „გადააგდო“ სტალინი. ეს არცაა გასაკვირი, ჩინეთი არასდროს არ მუშაობს რუსეთის დღის წესრიგით. ჩინეთი მუშაობს ჩინეთის დღის წესრიგით და, თუ დღეს ჩინეთი შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთთან ალიანსში, ეს მოხდება არა რუსეთის, არამედ ჩინეთის ინტერესიდან გამომდინარე.

**„ჩინეთი არის ძალიან მყარი, მსოფლიოში უკვე ნომერ პირველი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, პრაქტიკულად, უსწრებს ამერიკას, რუსეთი კი არის „ჭე“ კლასში, ამიტომ რუსეთს სჭირდება ჩინეთი და არა ჩინეთს — რუსეთი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩინეთი შორსაა საქართველოდან, ჩვენი მეგობარია, გარკვეული ინვესტიციები აქვს ჩვენთან, ამიტომ უნდა გვქონდეს გაწონასწორებული, ზომიერი პოლიტიკა ჩინეთთან. მათ ყოველთვის უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მზად ვართ მათთან გვქონდეს კარგი ურთიერთობები, თუ ეს ხელს არ შეგვიშლის, რუსეთთან გვქონდეს პრინციპული და მიუღებელი პოლიტიკა. არასდროს არ უნდა ვაგრძნობინოთ ჩინეთს, რომ ჩვენთვის მიუღებელია რუსეთი, რადგან თურქეთის მსგავსად, ჩინეთსაც აწყობს, რომ საქართველო იყოს რუსეთის ოპონენტი და თვითონ იმეგობროს საქართველოსთან. საქართველომ ვერაფრით ვერ შეიგნო, რომ ყველაზე კარგი პოლიტიკაა, არაფრით არ გააღიზიანო, მაგრამ იმოქმედო“,** — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

ამასთან, იგი განმარტავს, რომ ჩინეთ-რუსეთის ალიანსების არ სჯერა. როდესაც ჩინეთს გაუჩნდება სურვილი, სხვა პოლიტიკაზე გადავიდეს, არავის შეეკითხება. ჩინეთის კომუნისტურმა რეჟიმმა უარი უთხრა საბჭოთა კავშირს და გადავიდა კაპიტალისტური ამერიკის მხარეს, რადგან იმ დროს ჩინეთის ინტერესებში იყო არა საბჭოთა კავშირთან, არამედ ამერიკასთან ყოფნა. ასე რომ, ჩინეთი ბევრ სიურპრიზს მოუმზადებს კიდევ რუსეთს.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ძალიან მკვეთრი ცვლილებები გეოპოლიტიკურ განლაგებაში, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე. თუმცა რაც არ უნდა ვმალოთ, ჭირი თავს არ დამალავს და აშკარაა, რომ ლიბერალურ დემოკრატიას, ანუ არსებობის დასავლურ მოდელს ალტერნატივები უჩნდება. ერთ-ერთი ძალიან სერიოზული ალტერნატივაა ჩინეთი, უმძლავრესი, უმსხვილესი ქვეყანა. ზედმეტი ხმაურის გარეშე ის დასავლეთთან კონკურენციაში სულ უფრო წარმატებული ხდება და სულ უფრო მიიწევს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ამ გზაზეა საქართველოც.

**„ცხადია, ჩინეთი არ ემხრობა ნატოს გაფართოებას, რადგან კონკურენტია და დასავლეთის კონკურენტად აღიქვამს თავს. შედგება თუ არა რუსეთ-ჩინეთის ალიანსი, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან რუსეთს და ჩინეთს ბევრი რამ აქვთ გასაყოფი, თვითონ რუსეთის ტერიტორიაზეც კი ხანდახან სადავოა, ვისი გავლენა მეტია — ჩინეთის თუ რუსეთის. შუა აზიის ქვეყნებშიც კი, სადაც რუსეთის გავლენა უპირობოა, ჩინეთის გავლენა საათობრივად იზრდება, მთელი ინფრასტრუქტურა ამ ქვეყნებში ჩინური ინვესტიციითაა მოწყობილი, ეს სერიოზული ძალაა. ასე რომ, მრავალპლანიანი პროცესები ვითარდება. ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, რუსეთი და ჩინეთი ალიანსს შექმნიან თუ არა. საქართველოს მოუწევს გარკვეული ზომების მიღება, რომ ამ პროცესებისგან არ დაზიანდეს“,** — გვითხრა დავით ზარდიაშვილმა.

**მანანა ნოზაძე**



# როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?!

## ინტერვიუ „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის" თავმჯდომარესთან როლანდ ნიკოლაიშვილთან

**— ხუთეულის ფორმატის შექმნის შემდეგ რას აკეთებს ცენტრი?**

— გასაკეთებელი ბევრი რამ ექნება და ამაზე ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე ორიოდე სიტყვით შევეხები იმ აჟიოტაჟს, რომელიც ატეხილია პრესაში და ტელევიზიებში იმის გასარკვევად, გამოიწვევს თუ არა ნატოს გაფართოების საკითხი ომს უკრაინაში. მოგეხსენებათ, ნატოს მთავარი შემქმნელი, წევრი და სიძლიერე ვაშინგტონია. ამიტომ კითხვას დავსვამდი ასე: „ნატოს საკითხთან დაკავშირებით, ვინ არის მართალი მოსკოვი თუ ვაშინგტონი?

საქართველოს და უკრაინის ნატოს წევრობა მოსკოვისთვის ნიშნავს „ყურის ძირში" ვაშინგტონის ბაზების და ბირთვული რაკეტების არსებობას, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს მოსკოვის კატეგორიულობა ნატოს საკითხთან დაკავშირებით. არც ვაშინგტონის უნდა გვიკვირდეს, რომ არ აკმაყოფილებს მოსკოვის მოთხოვნას: „არ მიიღოს საქართველო და უკრაინა ნატოშიო". საქართველოს და უკრაინას უფლება აქვთ ისწრაფვოდნენ ნატოსკენ და ამ უფლებას ვაშინგტონი მათ არ წაართმევს. გამოდის, რომ ნატოს საკითხთან დაკავშირებით მოსკოვის მოთხოვნაც სამართლიანია და ვაშინგტონის უარიც, ანუ აშკარაა ორი დიამეტრალურად საპირისპირო სამართლიანობა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გონივრული კომპრომისების გარეშე ამ ორმა სამართლიანობამ შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს, კერძოდ: მოსკოვი მართლაც შეიჭრას უკრაინაში, ამგვარმა შეჭრამ კი მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება მოახდინოს.

ამიტომ როგორც ინტერვიუს პირველ ნაწილში აღინიშნა, კარგი იქნება თუ მოსკოვი და ვაშინგტონი დათანხმდებიან, ჯერ ხუთეულის ფორმატში მონაწილეობით დაასრულონ საქართველოს კონფლიქტები, ნახონ რა ცვლილებას შეიტანს ერთობლივი სამშვიდობო მისია მათ პირად ურთიერთობებში და თავად ნატოს საკითხზე, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს, ამიტომ თუ ამ იდეაში ხელისუფლება პოზიტივს დაინახავს, სწორედ მან უნდა მიიტანოს ეს იდეა მოსკოვის და ვაშინგტონის ლიდერებამდე.

**... აი, ახლა მოგახსენებთ რის გაკეთებას გეგმავს ცენტრი.**

**1. უპირველეს ყოვლისა, დაკომპლექტდება: ა) კონფლიქტების თემაზე მომუშავე მცირერიცხოვანი (ექვსწევრიანი) გუნდით; ბ) ოფისების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პერსონალით.**

**2. ცენტრი შესთავაზებს ხუთეულის ფორმატს საკუთარ ოფისებს თემაზე მუშაობისთვის. კონფლიქტების ძირითად მხარეთა თანასწორობის გამოკვეთის მიზნით, იგივე მხარეთა თანხმობით, ოფისებს მოაწყობს: თბილისში, სოხუმში და ცხინვალში. სწორედ ამ ოფისებში რიგრიგობით ჩატარდება ხუთეულის სამუშაო რაუნდები. რაუნდებს შორის ერთთვიანი ინტერვალის შემთხვევაში და დაანონსებული ორწლიანი ვადის გათვალისწინებით, კონფლიქტების დასრულებისთვის საჭირო გახდება 24 რაუნდის ჩატარება, რვაჯერ თბილისის, რვაჯერ სოხუმის და რვაჯერ ცხინვალის ოფისებში. ბუნებრივია, დაანონსებული ორწლიანი ვადის სიზუსტის თუ უზუსტობის დადგენა, მხოლოდ ხუთეულის მუშაობის პროცესში გახდება შესაძლებელი.**

**3. ცენტრი შესთავაზებს ხუთეულს ორდღიანი რაუნდების ჩატარებას, სადაც პირველი სამუშაო დღე იქნება, მეორე დასვენების. დასვენების დღეებისთვის ცენტრი შესთავაზებს ხუთეულს კულტურულ ღონისძიებას თემაზე: „ჩემი სამშობლო — ედემი". სიტყვა ედემი ნასესხებია იოსებ ნონეშვილის ლექსიდან:**

**... მე ჩემთვის მინდოდა მზიური მთა-ბარი**
**და რადგან მიწის სხვა ნამცეცი არ არის,**
**ზეცაში ვიცხოვრებ, ხოლო ეს ედემი**
**თქვენთვის დამითმია, დე იყოს ალალი...**

მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ლექსია, კონფლიქტების სამივე მხარის საზოგადოებას ესიამოვნება იმის (თუნდაც დაუსაბუთებელი) ცოდნა, რომ ღმერთის მიერ დათმობილ ედემში ცხოვრობს. თბილისს, სოხუმს და ცხინვალს რვა-რვაჯერ მიეცემათ იმის საშუალება, რომ გააცნონ ხუთეულს საერთო ედემში მდებარე თავიანთი პირადი ედემის სილამაზე.

ბუნებრივია, თემის მიზანია დაანახოს: ქართველებს, აფხაზებს და ოსებს, რომ მათი სიყვარული პირადი ედემის მიმართ, არ უნდა აზიანებდეს საერთო ედემის მთლიანობას.

**4. რაუნდების (სამუშაო და დასვენების) დღეებში ხუთეულის ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით ცენტრი შეიძენს სათანადო სატრანსპორტო საშუალებებს.**

**5. რაუნდების სამუშაო დღეებში, ასეთი დღეების რიცხვი კი 24 იქნება, ხუთეულს ელოდება სერიოზული და ამავდროულად საყურადღებო სამუშაო, კერძოდ: ხუთეულმა უნდა გაამთლიანოს დანაწევრებული სახელმწიფო: თბილისის, სოხუმის და ცხინვალის პოლიტიკური თანასწორობის დანერგვის გზით. ბუნებრივია, მხარეები წინასწარვე შეიმუშავებენ საკუთარ ვერსიებს პოლიტიკურ თანასწორობასთან დაკავშირებით და შეეცდებიან დაიცვან საკუთარი ვერსია ხუთეულის მუშაობის პროცესში. ასეთ დაცვას კომპრომისებიც მოჰყვება, კომპრომისებს კი კონფლიქტების სამართლიანად დასრულება. ცენტრი, როგორც ხუთეულის მასპინძელი მხარე, ჩაერთვება მუშაობის პროცესში ცალკეული მოსაზრებების (წერილობითი ან სიტყვიერი) მიწოდების გზით. ბუნებრივია, ხუთეული გაითვალისწინებს მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს, რომელშიც ლოგიკას დაინახავს. აქვე დავძენ, კონფლიქტების დასრულებაში შედის დევნილების დაბრუნების საკითხიც, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ორწლიან ვადაში შესაძლებელი გახდება მხოლოდ დაბრუნების კონკრეტული გეგმის შემუშავება და იმ მაქსიმალური ვადის დაანონსება, რომელშიც უნდა დასრულდეს დევნილების დაბრუნების პროცესი.**

**6. ცენტრი არ გამორიცხავს, რომ კონფლიქტების დასრულების შემდეგ, მოსკოვმა და ვაშინგტონმა იმავე ხუთეულის ფორმატში მოისურვონ ნატოს საკითხის გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში რაუნდების რიცხვი გაიზრდება. ამიტომ ვინაიდან კონფლიქტები უკრაინასაც აქვს მოსაწესრიგებელი და ნატოს საკითხიც ეხება, ლოგიკურად მიმაჩნია ხუთეულის ფორმატში (დამკვირვებლის სტატუსით) კიევის დელეგაციის ჩართვა.**

**7. საქართველოს კონფლიქტების დასრულების შემდეგ ცენტრის სამივე ოფისი იმუშავებს მშვიდობის საფუძვლების გამყარებაზე, თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის.**

აი, ამ პუნქტების შესრულებას გეგმავს ცენტრი და ხვდებით, ალბათ, რომ ძლიერი ფინანსური „ზურგის" გარეშე ამას ვერ შეძლებს. ასეთი „ზურგი" ცენტრს არ გააჩნია, ამიტომ თუ მოყვანილ ინფორმაციაში პოზიტივი არსებობს, ეს პოზიტივი ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, თუ რა ბედი ეწევა ცენტრს, მეათე მოწვევის პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს დადგენილება სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ასეთი დადგენილება სტარტია, ამიტომ ლოგიკა მარტივია: იქნება სტარტი, იქნება ფინიშიც. არ იქნება სტარტი, არც ფინიში იქნება.

ესაუბრა
**გურამ გოგიაშვილი**
რ. ნიკოლაიშვილის ტელ: 595 26-77-59

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 24

## ჯუანშერ ბურჭულაძე ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდა

**ბრიუსელში მიმდინარე ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ალიანსის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ადმირალ რობ ბაუერთან გამართა შეხვედრა.**



ჯუანშერ ბურჭულაძემ ნატოს უმაღლეს სამხედრო წარმომადგენელს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის ალიანსში გაწევრების გზაზე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

## პარტნიორების პოზიცია არის უცვლელი და ძალიან მტკიცე, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის განცხადებით, ბრიუსელში გამართული შეხვედრების დროს პარტნიორების მხრიდან დადასტურდა პოზიცია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

**„ჩვენ გვქონდა შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივნთან, ასევე, მქონდა საშუალება, გაგვეცვალა ჩვენი მოსაზრებები, შეხედულებები და კიდევ ერთხელ მიგვეღო ჩვენი პარტნიორებისგან მხარდაჭერა. შევხვდი ჩემს კოლეგებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, პოლონეთიდან, სლოვენიიდან, რა თქმა უნდა, მათი პოზიცია არის უცვლელი და ძალიან მტკიცე, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ჩვენი ქვეყნის მთლიანობა. ნატო არის ის ერთადერთი გზა, რითიც ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, სხვა გზას ამ ამოცანის მიღწევისთვის ვერ ვხედავთ",** — აღნიშნა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

## ჯო ბაიდენისა და ოლაფ შოლცის სატელეფონო საუბარი

**უკრაინაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა და გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა სატელეფონო საუბარი გამართეს. ლიდერები უკრაინაში არსებულ ვითარებას „ძალიან სერიოზულად" აფასებენ, რამდენადაც არსებობს რუსეთის შემდგომი სამხედრო აგრესიის რისკი. როგორც კანცლერის პრესსპიკერმა აღნიშნა, ლიდერების შეფასებით, საჭიროა „მაქსიმალური სიფხიზლე, ვინაიდან ჯერ რუსეთს უკრაინის საზღვრიდან შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი არ გაუყვანია".**

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტიც და გერმანიის კანცლერიც, მიესალმებიან რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებას, დიპლომატიური



ძალისხმევის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ლიდერები თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია მინსკის შეთანხმების რეალიზაციაში წინსვლა და ნორმანდიულ ფორმატში პროგრესის მიღწევა.

## ჩვენ ევროპული უსაფრთხოების კრიზისის წინაშე ვართ

**არ ვიცით, რა მოხდება უკრაინაში, თუმცა ვითარება აჩვენებს, რომ ჩვენ ევროპული უსაფრთხოების კრიზისის წინაშე ვართ,** — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატოს თავდაცვის მინისტრებთან უკრაინაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ ევროპის უსაფრთხოების პრინციპების შემოწმება ახალი ნორმა გახდა ევროპაში. შედეგად, თავდაცვის მინისტრებმა გადაწყვიტეს, შეიმუშაონ ვარიანტები ნატოს შეკავებისა და თავდაცვის შემდგომი გაძლიერებისთვის. მათ შორის განიხილონ ნატოს ახალი საბრძოლო ჯგუფების განთავსება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. როგორც გენერალური მდივანი აცხადებს, ნატო-ს მეთაურებს დაევალათ, გაარკვიონ, როგორ განათავსონ ახალი საბრძოლო ჯგუფები ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. იენს სტოლტენბერგის თქმით, ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა შესაძლოა, რუმინეთში დისლოცირებული საბრძოლო ჯგუფი იყოს, რომელსაც საფრანგეთი უხელმძღვანელებს.

სტოლტენბერგის თქმით, უკრაინის საზღვრიდან რუსული ძალების გასვლის დამადასტურებელი მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს. მისი თქმით, ეს ევროპაში შეიარაღებული ძალების ყველაზე მასშტაბური კონცენტრაციაა ცივი ომის დასრულების შემდეგ.



# ავთანდილ დემეტრაშვილი: გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი უნდა იყოს



**შალვა ნათელაშვილისთვის ბრძოლა ახლა იწყება, მანდატით თუ უმანდატოდ, პირველი ლეიბორისტი ისევ ის შალვა იქნება, რომელიც ყველას თავისი ხმამაღალი განცხადებებით ახსოვს. ბადრი ჯაფარიძე ისევ უკან აპირებს პარლამენტში შებრუნებას და სათადარიგო გეგმას აამოქმედებს, არც ელენე ხოშტარია რჩება პოლიტიკური მიზნების გარეშე.**

პრეზიდენტმა, **სალომე ზურაბიშვილმა** ამჯერადაც არ მოუწონა მმართველ გუნდს გადაწყვეტილება და შიდა და გარე გამოწვევებიდან გამომდინარე, არ გაიზიარა ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა.

თუმცა, მმართველი გუნდის განაჩენი მკაცრი აღმოჩნდა, მათი გადარწმუნება ვერ მოხერხდა და 70 სხდომის არასაპატიოდ გაცდენის გამო შალვა ნათელაშვილი და ელენე ხოშტარია უმანდატოდ დატოვეს, ბადრი ჯაფარიძის საწინააღმდეგოდ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიყენეს.

ყოფილი პარლამენტარები მმართველ გუნდს პოლიტიკურ-ზნეობრივი გადაწყვეტილების მიღებას მოუწოდებდნენ, **თინა ხიდაშელი** ამ მხრივ **ბადრი ჯაფარიძესთან** მიმართებით განსხვავებულ მიდგომას ითხოვდა, რათა ჯაფარიძის „ქეისი“ არ დამსგავსებოდა **ვალერი გელაშვილის** „ქეისს“, რომელსაც თავის დროზე „ნაცებმა“ შეუწყვიტეს სადეპუტატო უფლებამოსილება, თუმცა, თინა ხიდაშელის რეკომენდაცია მმართველმა გუნდმა არ გაიზიარა და, ოპოზიციის მტკიცებით, პოლიტიკური შურისძიება განახორციელა ოპოზიციონერ დეპუტატებთან მიმართებით.

ოპოზიცია აპირებს გეგმა „ბე“ აამოქმედოს და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელოს ბადრი ჯაფარიძე, რათა ამით იგი პარლამენტში დააბრუნოს.

შეეძლო თუ არა პარლამენტს პოლიტიკურ-ზნეობრივი გადაწყვეტილების მიღება იმ დეპუტატებთან მიმართებით, რომლებიც ერთ დროს თვითონვე ითხოვდნენ სადეპუტატო მანდატისგან გათავისუფლებას? შეიძლებოდა თუ არა ბადრი ჯაფარიძესთან მიმართებით პარლამენტს განსხვავებული მიდგომა გამოეჩინა?

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მკაფიო დაპირისპირებაა, ამიტომ ორივე მხარე ეცდება, პროცესი ისე წარმოაჩინოს და ისე დასვას საკითხი, როგორც ეს მისთვის მომგებიანია. აქედან გამომდინარე, ვახტანგ ძაბირაძე მიიჩნევს, რომ საკმაოდ რთულია თქმა იმისა, ეს საკითხი პოლიტიკურ-ზნეობრივი უნდა იყოს, თუ მხოლოდ სამართლებრივი. პოლიტოლოგს ახსენდება, რომ თავის დროზე, როდესაც კონკრეტულმა დეპუტატებმა განცხადებები დაწერეს პარლამენტიდან გასვლის თაობაზე, „ქართულმა ოცნებამ“ მაშინ რეგლამენტს გადააბიჯა, 2020 წელს რეგლამენტი დავიწყებას აქტიურად მისცა და არაფრით არ შეუწყვიტა უფლებამოსილებები ამ დეპუტატებს.

**„მაშინ ეს არ იყო რეგლამენტის დარღვევა და დღეს რეგლამენტის დარღვევაა? მე რომ მკითხოს კაცმა, რეგლამენტი, რომელსაც იღებს ერთი პარტია, პარტიული რეგლამენტია და არა მთლიანი პარლამენტის რეგლამენტი. ამიტომ, თუ ოდესმე გვინდა, გამართული გვქონდეს საკანონმდებლო ბაზა, ის თემები, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება, საერთოდ, დეპუტატის უფლებამოსილებებს ეხება, პარლამენტის მუშაობას ეხება, მათი მიღება უნდა მოხდეს ორივე მხარის თანხმობით, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების თანხმობით. ჩვენთან კი უმრავლესობაში მუდმივად ხელისუფლებაა და ამ რეგლამენტსაც მუდმივად ხელისუფლება იღებს“,** — აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ და შეკითხვის საპასუხოდ, განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა თუ არა ბადრი ჯაფარიძის საქმე, განმარტა, რომ ამ თემას ვერ ჩაუღრმავდება, მაგრამ ჯაფარიძის პრობლემა ცოტა სხვაგვარია.

კერძოდ, ჯაფარიძეს შეუფარდეს სასჯელი, მაგრამ ის ამნისტირებულ იქნა და მოხსნილი აქვს ყველანაირი ნასამართლეობა. თანაც, ბადრი ჯაფარიძის მიმართ ბრალი აღიძრა არა ახლა, არამედ წარსულში ჩადენილი საქმის გამო. ამიტომ რთულია ვთქვათ, რომ რაკი სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ჯაფარიძეს მაინცდამაინც უნდა შეწყვეტოდა უფლებამოსილება. ეს საკითხი უფრო მეტ დასაბუთებას მოითხოვდა, უფრო მეტი სამართლებრივი და იურიდიული არგუმენტები იყო საძებარი.

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ კონსტიტუციას თუ დავეყრდნობით, რა თქმა უნდა, პარლამენტის უფლებაა, შეუწყვიტოს უფლებამოსილება ცალკეულ დეპუტატს, თუ ამისთვის არსებობს სამართლებრივი საფუძველი. ცხადია, სამართლებრივი საფუძველი როგორც შალვა ნათელაშვილის, ისე ელენე ხოშტარიას მიმართ არსებობდა, რადგან უფლებამოსილება წყდება, თუ ექვსი თვის განმავლობაში არ ესწრება დეპუტატი პარლამენტის სხდომებს.

რაც შეეხება ბადრი ჯაფარიძეს, ავთანდილ დემეტრაშვილი თვლის, რომ აქ საკითხი უფრო რთულადაა. ზოგადად, საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელსაც, ინსტრუმენტალური ფუნქცია აქვს. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ნორმებს იყენებენ, როგორც ინსტრუმენტს იმისთვის, რომ ოპოზიციას ზიანი მიაყენონ.

**„ამ შემთხვევაში, მე როგორც ვიცი, ზიანი დგება საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცესში, ანუ 50-ს უკვე ვეღარ აგროვებს ოპოზიცია, რათა შექმნას საგამოძიებო კომისია. აქ მხოლოდ სააკაშვილის ირგვლივ საგამოძიებო კომისია არ იგულისხმება, არამედ იყო წინადადება, შექმნილიყო ანტიკორუფციული კომისია. გარდა ამისა, ცესკოს თავმჯდომარის პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო. ჩემი ინფორმაციით, „ოცნების“ მხრიდან იყო წინადადება, იმის სანაცვლოდ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებას დაუჭერდა მხარს, დათანხმებულიყო ოპოზიცია იმას, რომ არა ნახევარი წლით იყოს არჩეული ცესკო-ს თავმჯდომარე, არამედ უფრო ხანგრძლივად. ასევე, გენერალური პროკურორი არა ერთი წლით, არამედ უფრო ხანგრძლივად იყოს არჩეული. რა თქმა უნდა, აქაც პოლიტიკური კონიუნქტურის სუნია“,** — აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა და განმარტა, რომ ზუსტად არ ახსოვს ვალერი გელაშვილის პროცედურა როგორ განხორციელდა, მაგრამ მაშინაც და ახლაც მმართველი გუნდის პოლიტიკურ- ეგოისტური ინტერესი აშკარა იყო.

კონსტიტუციონალისტს აინტერესებს, რაღა ახლა დადგა ნათელაშვილის და სხვების საკითხი? თავის დროზე პარლამენტის ბევრ წევრს ჰქონდა განცხადება დაწერილი, მაგრამ მაშინ არავის შეუწყვიტეს უფლებამოსილება, ახლა კი დადგა მომენტი, რომ შეიძლება, გამოიყენონ სამართლებრივი ბერკეტები, რათა პოლიტიკური მიზნები იყოს უზრუნველყოფილი.

**„რას ჰქვია ზნეობრივი გადაწყვეტილება? პირველ რიგში, გადაწყვეტილება სამართლებრივი უნდა იყოს. როდესაც პოლიტიკური მიზნებითაა გადაწყვეტილება მიღებული, ამ შემთხვევაში, ზნეობაც იგულისხმება, თუმცა დღევანდელ საპარლამენტო საქმიანობაში ზნეობას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არავინ აქცევს“,** — გვითხრა კონსტიტუციონალისტმა.

**მანანა ნოზაძე**




**მარტიდან მთავრობა დიდი პროგრამის ამოქმედებას იწყებს, რომელიც სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებას და ფულადი შემწეობის მოდელის ცვლილებას ისახავს მიზნად. გაზაფხულიდან შრომისუნარიან სოცდაუცველებს კონკრეტულ სამუშაოს შესთავაზებენ. პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა სამინისტროები 50 ათასამდე სამუშაო ადგილს შექმნიან, რომლის რაოდენობაც წლის ბოლომდე შეიძლება 100 ათასამდეც გაიზარდოს.**

ახალი პროგრამის მეშვეობით, ერთი მხრივ, სოცდაუცველები დასაქმდებიან, მეორე მხრივ კი, მათ არ შეუწყდებათ დახმარება სახელმწიფოსგან. პროგრამა უკვე მზად არის და მისი ამოქმედება 1 მარტიდან დაიწყება.

**„მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ იგი არ დათანხმდება არც ერთ შემოთავაზებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება, რაც ვფიქრობთ, სამართლიანია. ამ დროის განმავლობაში მას შეეძლება, შეცვალოს გადაწყვეტილება და ხელახლა მიმართოს დასაქმების ან სოციალური მომსახურების სააგენტოს“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერი ასევე ამბობს, რომ ამ პროგრამაში ჩართული თითოეული მოქალაქე სახელმწიფოსგან დამატებით 300 ლარს მიიღებს, ანუ ბენეფიციარები, ერთი მხრივ, მიიღებენ სოციალურ დახმარებას, რაც შეიძლება იყოს ზოგ შემთხვევაში 400-500 ლარი, ამ თანხას დაემატება სახელწიფოს მიერ დანიშნული 300 ლარი.

ეკონომიკის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** ინფორმაციით, მიმდინარე წლის განმავლობაში შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის 50 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

**„ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება მუნიციპალიტეტების დონეზე და სხვადასხვა სამინისტროში. ეს არის როგორც ფიზიკური შრომა, ასევე გარკვეული საოფისე საქმიანობები.**

**ყველაზე ხაზგასასმელი არის ის, რომ თითოეულ დასაქმებულს სოციალური კომპენსაციის პაკეტი არ უჩერდება, პირიქით, მათ უნარჩუნდებათ 4 წლის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამატებით საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთვებიან. განსაზღვრულია ხელფასი - თვის განმავლობაში დამატებითი საზოგადოებრივი სამუშაო შესრულებისას განისაზღვრა 300 ლარით. ეს არის 300 დაუბეგრავი ლარი და სრულად აიღებენ დასაქმებულები ამ თანხას“,** — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, მთავრობაზე პრემიერის მიერ დღეს წარდგენილი სოცდაუცველი მოსახლეობის დასაქმების პროგრამა საჯარო სექტორში დასაქმებულთა ზრდას არ გამოიწვევს. ეს არის „საზოგადოებრივი სამუშაოები“, რომელსაც პროფილური სამინისტროები სოციალურად დაუცველებისთვის შექმნიან.

**„ეს არ გულისხმობს საჯარო სექტორში დასაქმებას. საზოგადოებრივი სამუშაოები ცალკე კატეგორიაა, რომელიც ყველა იმ ქვეყანაშია გამოყოფილი, სადაც ასეთი პროექტები ხორციელდება. ამას საზოგადოებრივი სამუშაოები ჰქვია. დაფინანსების წყარო იქნება ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი და ეს არ არის მიბმული საჯარო სექტორში დასაქმებულების ზრდასთან, გაბერილ შტატებთან თუ კადრებთან. ამ ადამიანების ინტეგრირება ისეთ უწყებებში მოხდება, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამა თუ იმ საჯარო ფუნქციის შესრულებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ აქ გაუმჯობესებას და ბევრი პრობლემის მოგვარებას ველოდებით“,** — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

Იხ. 11 გვ.



# რა სჭირს ჩვენს სოფლის მეურნეობას?!

## უპირველესი საზრუნავია კვალიფიციური კადრების მომზადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობა რომ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, ამაზე ყველანი ვთანხმდებით, მაგრამ დღევანდელი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ვერ უპასუხებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სურსათით სრულყოფილ მომარაგებას. გამუდმებით ძვირდება მოსახლეობისთვის ყოველდღიური საკვები — პური, ზეთი, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები, რაც მძიმე ტვირთად აწვება და აუარესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას.**



**სოფლის მეურნეობაში დღეისთვის შექმნილ მძიმე მდგომარეობასა და მისი გამოსწორების ღონისძიებებზე ვესაუბრეთ სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მუშაკს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ მექანიზატორს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი დვალს.**

**— ბატონო ირაკლი, რა მდგომარეობაა სადღეისოდ სოფლის მეურნეობაში და როგორია მომავალი პერსპექტივები, რომ ამ დარგმა სრულად უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება ეკოლოგიურად სუფთა, სამამულო წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით?**

— თქვენ მიერ დასმული კითხვა ფართო განხილვას მოითხოვს. ვერ გეტყვით, რომ სოფლის მეურნეობაში არაფერი კეთდება. მუდმივად მიმდინარეობს ბაღ-ვენახების, კენკროვანი კულტურების პლანტაციების გაშენება და ა.შ., მაგრამ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადამიანისთვის სასიცოცხლოდ ყოველდღიურად საჭირო ხორბლის, სიმინდის, ქერის, მზესუმზირის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას. ამიტომაა, რომ დაბალი ხარისხის პროდუქტების საზღვარგარეთიდან შემომტან და გამსაღებელ ქვეყნად გადავიქეცით.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების აღდგენის სამუშაოები, ხოლო აბრეშუმის წარმოება უყურადღებოდ არის დატოვებული, მაშინ, როცა ამ დარგების განვითარებას, სულაც მეფუტკრეობასთან ერთად, შეუძლია მოსახლეობის დასაქმებაც და ქვეყანაში მყარი ვალუტის შემოტანაც.

**— არის თუ არა ჩვენთან შედეგიანად გამოყენებული და მთლიანად ათვისებული სახნავ-სათესი სავარგულები?**

— ნაყოფიერი მიწები, სადაც შესაძლებელია მაღალი და მყარი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, სანახევროდაც არ არის გამოყენებული. ყოველწლიურად არ იხვნება და არ ითესება 400 ათას ჰექტარამდე ნაყოფიერი სავარგულები, მაშინ, როცა ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნაყოფიერი მიწები სოფლის პროდუქტების საწარმოებლად მთლიანად არის ათვისებული და გამოყენებული. მეტიც: ჩვენში სახნავ-სათესი ფართობი კი არ იზრდება, არამედ ყოველწლიურად კლებულობს! ანალოგიურად მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლოვანი და პარკოსანი, აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და სხვა კულტურების ნათესებიც. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ნათესი ფართობების შემცირებამ გამოიწვია ამ კულტურების წარმოების შემცირებაც.

**— როგორია ამ კულტურების, კერძოდ, ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა?**

— სანამ თქვენს კითხვას პასუხს გავცემდე, უნდა გავიხსენო ჩვენი წინაპრები, რომლებიც კავით ხნავდნენ, ხორბალი მაინც საკმარისი მოჰყავდათ. დღეს კი ეს დარგი, მთლიანად მექანიზებულია და ხელით შრომა აღარ ესაჭიროება.

ახლა დავუბრუნდეთ თქვენს კითხვას, — არ მახსენდება არც ერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენსავით ხორბლის დაბალ მოსავალს იღებდეს. ევროპის ქვეყნებში 4-5 ტონაზე ნაკლებს არც ერთი ქვეყანა არ აწარმოებს, ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი ძალზე დაბალია და ყოველწლიურად თითოეული ჰექტრიდან მხოლოდ 2,3-2,6 ტონის ფარგლებშია. ანალოგიურად დაბალია სხვა კულტურების საჰექტარო მოსავლიანობაც.

**— რატომ არის ჩვენთან ასეთი დაბალი საჰექტარო მოსავლიანობა? რა არ გვიწყობს ხელს: ნიადაგობრივი თუ კლიმატური პირობები, თუ ცოდნა და გამოცდილება?**

— პირიქით, მაღალი და მყარი მოსავლის მისაღწევად ჩვენთან საუკეთესო პირობებია, მაგრამ არ ვიცავთ აგროტექნიკურ მოთხოვნებს, საჭიროზე ნაკლებია ტექნიკური საშუალებები. საშემოდგომო ხორბალს ვთესავთ ნაცვლად აგროწესებით გათვალისწინებული ოქტომბრისა, ნოემბერ-დეკემბერშიც, დაბალია ნიადაგის ხარისხიანად მომზადებაც, ვერსად ვერ ნახავთ, რომ დასათესად ნიადაგი წინმხვნელი გუთნებით მუშავდებოდეს, რაც ნათესებში სარეველების სიმრავლეს განაპირობებს და 10-12% ამცირებს მოსავლიანობას. მოსავლის ამღები ტექნიკის სიმცირისა და ქვეყანაში მარაგნაწილების სერვისის უქონლობის გამო, დიდია ტექნიკის მოცდენები და ვერ ხერხდება მოსავლის აღება-დაბინავება აგროტექნიკურ ვადებში, რაც მარცვლის დანაკარგებს განაპირობებს.

**— ცოტა ხნის წინათ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტელევიზიით საზოგადოებას წარუდგინა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ათწლიანი პროგრამა. როგორია ამ პროგრამის შესახებ თქვენი შეხედულებები?**

— რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის განვითარების ათწლიან პროგრამას გავეცანი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს პროგრამა შედგენილია სამინისტროში მომუშავე სოფლის მეურნეობის არასპეციალისტების მიერ, აკლია კონკრეტულობა და იქ მოცემული პრობლემური საკითხების შესრულებაც კი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის ისეთ ზრდას, რაც ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. გასაკვირი ის არის, რომ ასეთი სერიოზული პროგრამის შედგენაში სამინისტრომ არ ითანამშრომლა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან.

**— რას იტყვით მეფუტკრეობაზე, რომელიც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია?**

— საქართველოში მეფუტკრეობა ისტორიული და მიმზიდველი დარგია, სადაც წარმოდგენილია მაღალი მწარმოებლობის მთის რუხი ფუტკრის ოჯახები. ჩვენთან მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს კლიმატი, გეოგრაფიული მდებარეობა და თაფლოვანი მცენარეების არსებობა. ამიტომაა, რომ ფუტკრის ოჯახები საქართველოში ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მის სწრაფ განვითარებას აფერხებს ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს მეფუტკრეობის დარგის განვითარების საკანონმდებლო ბაზა, რომელიც 2004 წელს იქნა გაუქმებული. აღნიშნულის გამოსასწორებლად საქართველოს მეფუტკრეთა კავშირმა, დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად მოამზადა ამ საკითხზე მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც განიხილა საქართველოს პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა და შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. უკვე გადის სამი თვე და როგორც შევიტყე, სამინისტროს აღნიშნული საკითხი არც კი განუხილავს და ამ დარგის სპეციალისტების მონაწილეობით არ გაუხდია მსჯელობის საგნად, რადგან აღნიშნული მასალა კუთვნილებისამებრ რეაგირებისთვის გადაეცა სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტს, რომელსაც ხელმძღვანელობს... სანიტარიულ-ჰიგიენური დარგის ექიმი თ. კალანდაძე (?!), რომელსაც, ბუნებრივია, არც საამისო განათლება და არც პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია.

**— სოფლის მეურნეობა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის განვითარებისთვის აუცილებელია საჭირო ტექნიკური საშუალებები და საინჟინრო განათლების სპეციალისტები. გვითხარით, სოფლის მეურნეობაში არის თუ არა საკმარისი ტექნიკური საშუალებები და როგორია მათი გამოყენების დონე?**

— ტექნიკური საშუალებების საჭირო რაოდენობისა და შედეგიანი გამოყენების გარეშე, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის წინსვლა და მდგრადი განვითარება, მაგრამ ამ მნიშვნელოვან დარგს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

სოფლის მეურნეობაში ძირითადი დარგების ჩამორჩენა და ტექნიკის გამოყენების საქმეში უცოდინარობა იმითაც არის გამოწვეული, რომ 2004 წლიდან დღემდე სამინისტროში წამყვანი თანამდებობები უჭირავთ იურისტებს, ეკონომისტებს, ექიმებს და არა აგრონომებს, მექანიზატორებს, მელიორატორებს, ვეტექიმებს და აგროეკონომისტებს.

სამინისტროს სისტემაში შემავალ შპს „მექანიზატორში“, მისი დაარსებიდან 10 წლის მანძილზე რვა დირექტორი შეიცვალა და ყველა ისინი, ნაცვლად აგროინჟინრებისა, იურისტები იყვნენ, რომლებიც, ბუნებრივია, არ ფლობდნენ ამ საინჟინრო დარგის გაძღოლა-განვითარების საკითხებს.

რაც შეეხება ტექნიკურ საშუალებებს, აქ მეტად მძიმე მდგომარეობაა. სამინისტროში არ იციან, თუ რა ოდენობის ტექნიკა გვაქვს დღეს სოფლად, როგორია მათი გამართულობა ან კიდევ რა ოდენობის ტექნიკა გვესაჭიროება სოფლის მეურნეობის წინსვლა-განვითარებისთვის. ტექნიკის შეუფერხებელი და გამართული მუშაობისთვის არ არსებობს შემკეთებელი საწარმოები და მარაგნაწილების სერვისის სამსახურები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ტექნიკის შედეგიან გამოყენებას. საგულისხმოა ისიც, რომ ტექნიკის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად არ მზადდება აგროინჟინერთა კადრები, რადგან აგრარულ უნივერსიტეტში გაუქმებულია აგროსაინჟინრო ფაკულტეტი და არც არავინ ზრუნავს მის აღდგენაზე.

ამ რამდენიმე თვის წინათ მივიღე ავსტრიის სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნიკის გამოყენების შესახებ მცირე საინფორმაციო მასალები. ავსტრია ჩვენსავით პატარა და მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელშიც შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 2,7 პროცენტია დასაქმებული. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ყველა სამუშაო მექანიზებული და ავტომატიზებულია. სწორედ ამ საკითხების გასაცნობად და ავსტრიის მდიდარი გამოცდილების ჩვენთან გადმოტანის საკითხზე მინდოდა, გავსაუბრებოდი მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს, რომელიც სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს კურირებს. იგი სპეციალობით იურისტია და, ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის საკითხებში არაფერი გაეგება. ჩემდა გასაკვირად, მან არ ინება ჩემთან შეხვედრა!.. თანამდებობის პირის ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ სრულიად არასწორად მიმაჩნია.

**— თქვენ, როგორც ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობაში საქმიანობის გასაუმჯობესებლად რა რჩევას მისცემდით ახალ მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას?**

— თუკი მას სურს სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება და სამამულო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, მე მას ასეთ რჩევებს მივცემდი:

სასწრაფოდ ჩაატაროს სამინისტროსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საკადრო რეფორმა და სამუშაოდ მოიყვანოს სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რაც მას საშუალებას მისცემს უახლოეს 2-3 წელიწადში ფეხზე დააყენოს ქვეყნის სოფლის მეურნეობა;

შეცდომების თავიდან ასაცილებლად, საკვანძო საკითხების გადაწყვეტის დროს, საქმიანი კონტაქტები იქონიოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და დარგის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც კარგად ერკვევიან სოფლის მეურნეობის დღევანდელ ვითარებაში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადამიანისთვის ძირითადი ყოველდღიური საკვები პროდუქტების წარმოებას (ხორბალი, სიმინდი, ქერი, კარტოფილი, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქცია, მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა);

შეწყვიტოს კერძო პირებზე ტექნიკის გაყიდვა და, მიწათმფლობელთა დახმარების გაწევის მიზნით, გაზარდოს და გააძლიეროს შპს „მექანიზატორის“ რაიონული ფილიალების საქმიანობა, ამ საქმეში გამოიყენოს ავსტრიისა და შვეიცარიის მდიდარი გამოცდილება;

სოფლად არსებული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობისთვის შექმნას სარემონტო და მარაგნაწილების სერვისების სამსახურები, რაც შესაძლებელია ახლო მომავალში მოგვარდეს ყოფილი დილმის სარემონტო ქარხნის ბაზაზე;

საქართველოს განათლების სამინისტროს წინაშე დააყენოს საკითხი აგრარულ უნივერსიტეტში აგროსაინჟინრო ფაკულტეტის აღდგენის შესახებ;

მოსთხოვოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ყოველწლიურად აწარმოოს სოფლად არსებული ტექნიკის ოდენობის აღრიცხვა, მათი ტექნიკური მდგომარეობის ჩვენებით (მზადყოფნაშია, საჭიროებს რემონტს, ჩამოსაწერია თუ სხვა), როგორც ეს ხდებოდა 2004 წლამდე;

სეტყვის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარების მიზნით ფართოდ გამოიყენოს იტალიის სოფლის მეურნეობის მდიდარი გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ფერმერებს და გლეხობას სეტყვისგან დაიცვან თავი!

დაბოლოს, იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში გაატარებს ქმედით ღონისძიებებს ჩამორჩენის დასაძლევად და კატეგორიულად მოსთხოვს სამინისტროს ხელმძღვანელობას, შეასრულოს ძირითადი ფუნქცია და ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოს ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტებით.

**ესაუბრა**
**ოთარ ტურაბელიძე**

# დიდი მეცნიერი, ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე




ცნობილ მეცნიერსა და გამომგონებელს, საზოგადო მოღვაწეს, საგზაო დარგის პატრიარქად წოდებულს, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს **თამაზ შილაკაძეს** 90 წელი შეუსრულდა. მუდამ ენერგიული, დაუდგრომელი ბუნების მქონე, უაღრესად აქტიური პიროვნება დღესაც ჩვეული ენთუზიაზმითა და შემართებით განაგრძობს საქმიანობას და ისე მხნედ გამოიყურება, ბევრ ახალგაზრდას გაეჯიბრება.

თამაზ შილაკაძე დაიბადა თბილისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გულმხურვალე მოამაგის, ბატონ ანდრო შილაკაძის ოჯახში. დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სპეციალობით „საავტომობილო მაგისტრალები და ქალაქის გზები“. გარდა საგზაო დარგის სპეციალური განათლებისა, მან 2003 წელს თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში მიიღო იურისტის და ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1958 წელს ჩააბარა მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც უძღვებოდა „საავტომობილო გზების კვლევა-ძიების და პროექტირების“ კურსს. სამეცნიერო-კვლევით სექტორში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი მოძრავი „საგზაო-სატრანსპორტო ლაბორატორია“ გზების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლების დასადგენად. ლაბორატორიაში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

აკადემიკოსი თ. შილაკაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საგზაო ორგანიზაციებში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი სადგურის ხელმძღვანელად, სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად და სხვ. დღემდე მუშაობს საქართველოს სახელმწიფო გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ გენერალურ დირექტორად. აქ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ის მიმართულება, რაც საჭირო იყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის გზების, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რისთვისაც შეიქმნა ლაბორატორიები და ქვეგანყოფილებები. აღნიშნული ინსტიტუტი დღემდე ამ დარგის წამყვან ორგანიზაციად ითვლება.

„საქგზამეცნიერება“ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასოცირებული დარგობრივი ინსტიტუტია. იგი ლაბორატორიულ მომსახურებას უწევს საგზაო დარგს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2018 წელს თამაზ შილაკაძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შესწავლა და ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა. საგზაო დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებისთვის ზრუნვა; საგზაო-სატრანსპორტო ქსელის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება;

აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე უამრავი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს და გამოგონების ავტორია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.

დიდია მისი როლი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. 1960 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას; მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტში დასაქმებული ჰყავს საგზაო დარგის სტუდენტები, მაგისტრები და დოქტორანტები სახელფასო ანაზღაურებით და საჭიროების შემთხვევაში, მათ სწავლის საფასურის გადახდაშიც ეხმარება.

თავდაუზოგავი შრომით მან არაერთ ბაკალავრს და მაგისტრს გაუკვალა პროფესიული და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა. ახალგაზრდებისადმი სითბო და კეთილგანწყობა საფუძვლად უდევს ყველა მის საქმეს.

ბატონ თამაზს უახლოეს წლებში განზრახული აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის უფრო მეტად გაფართოება და გაღრმავება. საგზაო-სატრანსპორტო სისტემების მიმართულებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადება. ამ მიზნით გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი, მათ შორისაა **„სამთო გზების ექსპლუატაცია, რემონტი და მოვლა-შენახვა“** (2021 წ.), **„სამთო საავტომობილო გზები“** (2020 წ.), **„სატრანსპორტო კომუნიკაციების ეკოლოგია“** (2019 წ.), **„სატრანსპორტო კომუნიკაციების არქიტექტურა“** (რუსულ და ჩინურ ენებზე, 2018 წ.), **„საგზაო მშენებლობა – პრობლემების თანამედროვე გადაწყვეტა“** (ქართულ და რუსულ ენაზე, 2016 წ.), **„განმარტებითი ლექსიკონი“** საავტომობილო გზების სპეციალისტებისათვის (2019 წ.) და მრავალი სხვ. გარდა ამისა, იგი არის რედაქტორ-რეცენზენტი პროფესიული განათლების სტუდენტებისა და მსმენელებისთვის 2020 წელს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციისა და გამომცემლობა GIZ-ის (გერმანიის თანამშრომლობა) ხელშეწყობით გამოცემული სახელმძღვანელოსი **„საავტომობილო გზების მშენებლობა“** (ქართულ ენაზე),

ამჟამად ბატონი თამაზ შილაკაძე, მიუხედავად ასაკისა, აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი არის საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის პატენტრწმუნებული, მეგზევეთა საზოგადოების დამფუძნებელი (1965 წ.) და მისი უცვლელი ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი, აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ თავმჯდომარე. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის აკადემიის აკადემიკოსად. არის ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და მისი საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, თბილისის საპატიო მოქალაქე.

აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე მრავალი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიოს საერთაშორისო გამოფენებში (ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში), სადაც მის გამოგონებებსა და ნამუშევრებს მიენიჭა მრავალი ჯილდო (ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები).

თამაზ შილაკაძის მოღვაწეობა აღინიშნა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ. იგი დაჯილდოებულია ამერიკის, ინგლისის, მაროკოს, ბულგარეთის, ბელგიის და სხვა ქვეყნების ორდენებითა და მედლებით. მათ შორის, განსაკუთრებით ეამაყება საქართველოს სახელმწიფო ჯილდო - „ღირსების ორდენი“.

აღსანიშნავია აკადემიკოს თამაზ შილაკაძის გამორჩეული პიროვნული თვისებები. მაღალი ზნეობრივი ბუნების მქონე ადამიანი მუდამ მხარში უდგას თავის კოლეგებს და ყოველთვის მზადაა სხვების დასახმარებლად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს სახელოვან იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებულ სამეცნიერო, შემოქმედებით საქმიანობას, დასახული მიზნების ჩვეული მხნეობითა და ენერგიით განხორციელებას.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ახალგაზრდობის 90 წელი!!!

თებერვალი ჩემი თვეაო – გიყვართ ასე თქმა.... კიდევ მრავალ თებერვალს გყვარებოდეთ, გემოღვაწოთ და გეზრუნოთ! არვინ გვეგულება, მისამართი ან ტელეფონის ნომერი ერთხელ მაინც რომ არ შეეცვალოს ცხოვრებაში – თქვენ გარდა... არასდროს არავის ემალებით და ისე ცხოვრობთ, გულის კარი მუდამ ღია გაქვთ!!! სიკეთეს და სითბოს რომ გასცემთ, მიმღებზე უფრო თავად გიხარიათ! უამრავ ადამიანს თქვენი იმედი აქვს! თქვენი დიდი ოჯახის გარდა, ბევრი დიდი თუ პატარა კოლექტივი გყავთ, რომლებსაც ბურჯად, გზად და ხიდად ეგულებით!!! უთვალავი მიღწევა და დამსახურება გაქვთ ქვეყნისა თუ ხალხის წინაშე, ბევრი ქარტეხილი გაგივლიათ და ყველა ქარტეხილიდან თავაწეული გამოსულხართ! თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, ყოველი დილის გათენება რომ უხარია! მზის ენერგიით დამუხტული, დღე და ღამეს შრომაში ატარებთ! ამ თქვენი დაუღალავი დღეების ნაღვაწს კი ყველას გვინაწილებთ, თქვენ გვერდით არცერთი გამოწვევის არ შეგვშინებია! სულ გვამხნევებთ და გვერდით გვიდგახართ... თქვენი სიცოცხლის სიყვარული და დადებითი მუხტი უცნაურად გადამდებია. ცრუ დაპირებების მიცემა არასდროს გყვარებიათ! სულ გვპირდებით – 150 წელს ასე მხნედ და ყოჩაღად ვიქნები და დანარჩენი მერე გადავწყვიტოთო... დაე, ასე იყოს!!!

სულით და შემართებით ყველაზე ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ადამიანს, ბატონ თამაზ შილაკაძეს ვულოცავთ 90 წლის იუბილეს!!!

**დიდი პატივისცემით და სიყვარულით,**

**თქვენი ერთგული „SHITA“-თ. შილაკაძის საპატენტო ბიურო!**

# საამაყო მამულიშვილი

ჩვენი ქვეყნის საამაყო მამულიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარეს, საპატიო თბილისელს ბატონ **თამაზ შილაკაძეს,** საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი ულოცავს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს მის მრავალმხრივ საქმიანობაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი**

# „90“ „65“ „55“

# საგზაო დარგის პატრიარქი

## კულტურისა და სპორტის ტრფიალი

საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური, კომპლექსური ინსტიტუტის – **შპს „საქგზამეცნიერება“-ს** კოლექტივი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ბატონ **თამაზ შილაკაძეს** 19 თებერვალს დაბადებიდან **90** წლის იუბილეს, საგზაო დარგში მოღვაწეობის **65-ე** წლისთავს, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერება“-ს დამფუძნებლის და გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის **55-ე** წლისთავს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ყოველმხრივ ბედნიერებას ქვეყნის, საგზაო დარგის და მისი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ.

2022 წელს ბატონ **თამაზ შილაკაძის** ცხოვრებაში კიდევ ერთი ბედნიერი ამბავი მოხდა, ახლახან ქვეყანას მოევლინა მეოთხე თაობის წარმომადგენელი **ვატო შილაკაძე** მეგზევეთა დიდი დინასტიის გამგრძელებელი: დიდი ბაბუა **თამაზ შილაკაძე**, მეგზევე ინჟინერი, აკადემიკოსი; ბაბუა **გიორგი შილაკაძე** – მეგზევე ინჟინერი, დოქტორი: მამა **თაზო შილაკაძე** – მეგზევე ინჟინერი, დოქტორანტი და იმედია **ვატო შილაკაძეც** მომავალი მეგზევე ინჟინერი იქნება, გილოცავთ ბატონო **თამაზ** და დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი იქნება კიდევ ერთი მძლავრი ხიდი შემდგომი თაობებისკენ, სასახელო მამულიშვილი გამოსულიყოს.

ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანდებით გურიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გურულებს აქვთ ერთი ასეთი ფრთიანი ფრაზა – მოხუცია, მაგრამ „ცინცხალი“ გონება აქვს და „ვერცხლის წყალივით“ მოძრავიაო, ორივე ეპითეტი ზუსტად ასახავს თქვენს ბუნებას და იგი არ გახუნებულიყოს კიდევ მრავალი ათეული წელი, თქვენი დიდი მცდელობით და ავტორობით განხორციელდა გურულების დიდი ხნის ნატვრა და აშენდა ორი სოფლის – წითელმთისა და მაკვანეთის დამაკავშირებელი ხიდი მდინარე ბჟუჟზე, რომელიც ატარებს თამაზ შილაკაძის სახელს და ინფორმაცია ამის შესახებ მითითებულია უშუალოდ ხიდზე.

თქვენ ახალგაზრდობიდანვე იყავით კულტურისა და სპორტის მოტრფიალე და მხარდამჭერი, თქვენ ბრძანდებით საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი და მრავალი ახალგაზრდა სპორტსმენის ქომაგი.

შესანატრი იყო თქვენი მეგობრობა ხელოვნების ქურუმთან, ქართველ მიქელანჯელოსთან ბატონ **მერაბ ბერძენიშვილთან,** დღეს თქვენ აგრძელებთ მის ნაცვლად საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარეობას და უანგაროდ მხარს უჭერთ კულტურის სფეროში დაყენებულ თაოსნობებსა და მათ ავტორებს.

თქვენ ხართ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ამ ასაკშიც ახალგაზრდული შემართებით ატარებთ ორიგინალურად მომზადებულ ლექციებს როგორც ცოცხალ, ისე ონლაინ რეჟიმში.

თქვენ ღრმად ხართ ჩართული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში და ცდილობთ მსოფლიო ინოვაციების საქართველოში დანერგვას. თქვენ ბრძანდებით საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და მისი საპატიო პრეზიდენტი.

თქვენ ხართ მრავალი გამოგონების ავტორი. საგზაო დარგში, საქართველოს რელიეფური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დამუშავებული ნორმატიული დოკუმენტების ავტორი და საგზაო პროფილის მრავალი წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია: „სამთო გზების ექსპლუატაცია, რემონტი და მოვლა-შენახვა (2021 წელი)“; „სამთო საავტომობილო გზები (2020 წელი)“; „სატრანსპორტო კომუნიკაციების ეკოლოგია (2019 წელი)“; „სატრანსპორტო კომუნიკაციების არქიტექტურა (რუსულ და ჩინურ ენაზე – 2018 წელი)“; „საგზაო მშენებლობა – პრობლემების თანამედროვე გადაწყვეტა (ქართულ და რუსულ ენაზე 2016 წელი“) და მრავალი სხვა.

თქვენ ბრძანდებით საგზაო დარგის ჭეშმარიტი პატრიარქი, საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საგზაო დარგში თქვენი 65-წლიანი შრომა ქვეყნის მიერ აღნიშნულია მრავალი ორდენით, მედლითა და სიგელით, თქვენ გაქვთ მრავალი საპატიო წოდება, თქვენ ხართ საქართველოს დამსახურებელი გამომგონებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებასა და ტექნიკაში და სხვა. მათ შორის გამოვყოფდით ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას, თქვენ დიდი შრომა გაქვთ გაწეული ქ. თბილისში ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტირების და მშენებლობის ორგანიზაციის კუთხით, რათა ქალაქს შემატებოდა ახალი ობიექტები და მიზანმიმართულად განვითარებულიყო ქალაქის ერთიანი საგზაო სატრანსპორტო სისტემა. მაგალითისათვის ჩამოვთვლით რამდენიმეს: ჩქაროსნული მაგისტრალი ვერეს ხეობაში; სატრანსპორტო კვანძი გალაკტიონ ტაბიძის ხიდთან; სატრანსპორტო კვანძი ვაშლიჯვარში; სატრანსპორტო კვანძი ცინცაძე-კარტოზიას გადაკვეთაზე, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გვირაბი და მიწისქვეშა გადასასვლელები რკინიგზის ქვეშ ფონიჭალაში და ისანში... და მრავალი, მრავალი სხვა.

სასახელო იყო ჩვენი კოლექტივისათვის თქვენი, როგორც „მეგზევე ინჟინრის“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევა, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არა მარტო საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც.

ბატონო **თამაზ,** თქვენი ყველა ღირსების შეფასებას ამ ერთ მოლოცვაში ვერ ჩავატევთ და ბოლოს კიდევ ერთხელ გილოცავთ სამივე საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და დიდ ბედნიერებას.

**პატივისცემით**
**შპს „საქგზამეცნიერება“-ს**
**შრომითი კოლექტივი**

## ქართველმა ახალგაზრდა გამომგონებლებმა ელექტრო-ენერგიის მიღების განსხვავებული მეთოდი იპოვეს



# „თერმული წყლების“ სიკეთე!

**მეათეკლასელმა გამომგონებლებმა დაამტკიცეს, რომ ელექტროენერგიის მიღების განსხვავებული, აქამდე უცნობი მოდელიც არსებობს. ელექტროენერგია მათ თერმული წყლებისგან მიიღეს. ამ უნიკალურ აღმოჩენაში მონაწილეობდნენ წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიისა და ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის X კლასის მოსწავლეები: დავით რუსია, საბა ხაბურზანია და ანი ესართია. პროექტის სახელწოდებაა „თერმული წყლები“.**

გამოგონება-კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ პირველი ადგილის მფლობელი გახდა. როგორც დავით რუსია „კომერსანტთან“ ამბობს, მათ დაამტკიცეს, რომ დენის წყარო შეიძლება გახდეს ცივი და ცხელი წყლის ურთიერთქმედება და ელექტროენერგიის მიღება ბუნებაზე ზემოქმედების გარეშეც შესაძლებელია.

**„ჩვენ 2021 წლის დასაწყისში გადავწყვიტეთ, რომ მიგვეღო კონკურსში მონაწილეობა. ასე შეიქმნა ჩვენი გუნდი, რომლის მენტორები უტა კილასონია და დავით სუნდულაშვილი არიან. ჩვენ გვაერთიანებს STEM, რომელიც მეცნიერება, ინჟინერია, ტექნოლოგიის სწავლების უნიკალური თანამედროვე პლატფორმაა. ის იძლევა იმის საშუალებას, რომ დაგროვილი თეორიული ცოდნა (არა მარტო სასკოლო), გამოვიყენოთ პრაქტიკაშიც. ფიზიკის როლი ყველაზე დიდია. ჩვენი პროექტია „თერმული წყლები“, რაც გულისხმობს ალტერნატიული ენერგიის მიღებას, რომელიც მსოფლიოში ძალიან მოთხოვნადია. მინიმოდელში პელტიერის ელემენტი ორ კვადრატულ მილს შორის არის მოთავსებული. ერთ მხარეს ცივი წყალი გადის, მეორეში – ცხელი. ტემპერატურის სხვაობა მილებს შორის პოტენციალთა სხვაობას იწვევს, რაც ძაბვას წარმოქმნის. მიღებული ენერგიის სიმძლავრე პელტიერის ელემენტის რაოდენობაზეა დამოკიდებული. გამოდის, რაც უფრო მეტი ელემენტი იქნება, მით მეტ ენერგიას გამოვიმუშავებთ. პელტიერის ელემენტი მსგავსი გზით ჯერ არავის გამოუყენებია. შესაბამისად, პროექტი ინოვაციურია. მოწყობილობაში მუდმივი ელექტროენერგია ცვლად ელექტროენერგიად გარდავქმენით, იმისათვის, რომ თუნდაც სახლში, საყოფაცხოვრებო მიზნით გამოგვეყენებინა. ასევე, გავაკეთეთ მიღებული ძაბვის გარდამქმნელი, რათა 1 ნათურა აგვენთო. მინიმოდელის შექმნით კი დავამტკიცეთ, რომ თერმული წყლებისგან ელექტროენერგიის მიღება ნამდვილად შესაძლებელია. ეს მეთოდი აქამდე არავის გამოუყენებია“,** – ამბობს დავით რუსია.

მოსწავლე-გამომგონებლებმა ტექნიკური მოწყობილობა პრაქტიკაშიც – ნოქალაქევში, სენაკის მუნიციპალიტეტში არსებულ თერმულ წყლებზე გამოსცადეს. ამით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ელექტროენერგიის მიღების ახალი შესაძლებლობა რეალურად არსებობს. კონკურსში გამარჯვებულს ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროების მიმართ საკუთარი შეხედულება აქვს.

**„ჩვენი პროექტი ეკოლოგიურად სუფთაა, თითქმის არ მოითხოვს ბუნებაში ჩარევას, როცა ჰესს სჭირდება დიდი არეალი და ეკოლოგიაზეც ნეგატიურად მოქმედებს. მართალია, მზის პანელები კარგია, მაგრამ მზის ნაწილაკების შენახვა არის შეუძლებელი. ამიტომ ჩვენ მზიდან მიღებული ენერგიის შენახვა არ შეგვიძლია. შესაბამისად, პანელები დენს გამოიმუშავებენ მხოლოდ დღის განმავლობაში, როცა ჩვენი პროექტი დღე-ღამის ნებისმიერ დროს მუშაობს. საქართველოში სულ 300-ზე მეტი თერმული წყლის საბადო არსებობს, რომლის უმეტესობაც საერთოდ არ გამოიყენება. ჩვენ კი არსებულ თერმულ წყლებს არა მარტო ელექტროენერგიის მისაღებად, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ცხელი და ცივი წყლით მუდმივი მომარაგების მიზნით გამოვიყენებთ“,** – ამბობს დავით რუსია „კომერსანტთან“.

მოსწავლეებს იმედი აქვთ, რომ მათი გამოგონება პრაქტიკაშიც დაინერგება, მით უფრო საქართველოში, რომელიც თერმული წყლების საბადოა.

ქართველი მოსწავლე-გამომგონებლები NASA-ში (აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო აშშ-ში) პანდემიის გამო ვერ მიიპატიჟეს. თუმცა მათ ორგანიზაციის სპეციალისტები ტრენინგებს ონლაინ ჩაუტარებენ. დავით რუსია ამბობს, რომ მაქსიმუმს გააკეთებს, რომ მისი აღმოჩენა პრაქტიკაში დაინერგოს. „თერმული წყლები“ ჯერჯერობით პირველია, ახალგაზრდა გამომგონებელი ახალ აღმოჩენებზეც ფიქრობს.

საქართველოს განათლების სამინისტროს ცნობით, ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ რუსთაველის ფონდის პოპულარული კონკურსია, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. კონკურსის მიზანია მეცნიერების პოპულარიზაცია მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის, მათში ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ ინტერესის გაღვივება. კონკურსი ღია კონკურენციის პრინციპით ავლენს და ახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს აძლევს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. კონკურსში მონაწილეობენ საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეები.

**მარი ჩიტაია**



# წვრთნები ბელარუსში: მოსახლეობას ომზე მეტად რუსული ოკუპაცია აშინებს!

**ბელარუსში, გომელის ოლქის სოფელ ხრაპკოვოსთან რუსეთ-ბელარუსის ერთობლივი სამხედრო წვრთნების მონაწილე ორი ნასვამი რუსი სამხედრო გაიყინა, — იუწყება „ბელარუსკაია პრაუდა“. ირკვევა, რომ ეს სწავლებების დაწყების დროიდან პირველი მსგავსი ფაქტი არაა, თუმცა ცდილობენ, ინფორმაცია არ გახმაურდეს.**

ბელარუსული გამოცემა მომხდარს რეპორტაჟს უძღვნის, რომელიც წვრთნების ფონზე ქვეყანაში შექმნილ რეალურ ვითარებას ასახავს:

**„ბელარუსის მიწა-წყალზე მიმდინარე ერთობლივი რუსულ-ბელარუსული სამხედრო წვრთნები „საკავშირო სიმტკიცე „2022“ ნამდვილად შევა ბელარუსის ისტორიის ანალებში, თუ მონაწილეთა რიცხოვნობით არა, მათი „ამჩემფეხებობით“ მაინც — როგორც საკუთარი თავის, ისე გარემოს მიმართ, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი სამშობლოა.**

პირველი, რაც თვალში გეცემათ, COVID-ვითარებაა, რომელიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვითაც კი ყველა რეკორდს ხსნის: „ომიკრონმა“ ბელარუსში გამარჯვებულის მსვლელობა წამოიწყო და ყველა ერთმანეთს ასნებოვნებს. ავადობენ რუსი და ბელარუსი ოფიცრები-ჯარისკაცები, მათ კვალდაკვალ კი — ადგილობრივი მცხოვრებლებიც. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ვითარება გომელის ოლქში. ჰოსპიტალში ყველა ინფიცირებული სამხედრო როდი ხვდება, ნაწილი საველე ბანაკებში მკურნალობს — და ვითარება წრეზე ტრიალებს.

ინფიცირების შესაძლებლობის გარდა, ადგილობრივებში დაისადგურა სხვა, უფრო ძლიერმა შიშმაც — არა იმდენად უკრაინასთან ომის, რამდენადაც ოკუპაციის: რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ წვრთნების დასრულების შემდეგ რუსი სამხედროები ბელარუსს დატოვებენ, ეს ბევრს ძალიან ეეჭვება.

**თანაც, ტელევიზორში გაცხადებული „ბელარუსების განსაკუთრებული სახალხო სიყვარული წვრთნებისადმი“ ერთია, რეალობა კი — სულ სხვა და ბევრი მშობელი უფროსკლასელ ქალიშვილებს სკოლაში აღარ უშვებს, რადგან თვეობით სახლს მოწყვეტილი რუსი სამხედროების ჯგროს მზერა აშინებს, განსაკუთრებით — სიმთვრალეში, რომელსაც სისტემატიური ხასიათი აქვს.**

**სამხედრო მართლაც ძალიან ბევრია — მსგავსი რაოდენობა ადგილობრივებს ჯერ არ უნახავთ და უკვე ეს აგდებთ შოკში. თანაც ყველა შეიარაღებულია და, ასე ვთქვათ, „აღგზნებული“ წვრთნებით, მსგავს პირობებში კი ადამიანები ადეკვატურები ყოველთვის როდი არიან.**

**შიშს აღვივებს ის ფაქტიც, რომ წვრთნების მონაწილეებს შორის ბევრია არასლავური გარეგნობის — რუსეთიდან ჩამოსული სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები, რომლებიც როგორც წესი, წარბშეკრულები გიმზერენ და „ჩვენიანებად“ არ აღიქმებიან. ხოლო თუ ბელარუსულ საზოგადოებაში არსებულ ზოგად დაძაბულობას დავამატებთ, ამასთან დაკავშირებული შიშები მთლად უსაფუძვლო არცაა.**

დიდ კითხვებს იწვევს რუსების ქცევაც: ნელ-ნელა უკვე ვეჩვევით, რომ სამხედრო ტექნიკა ქალაქების ქუჩებში გადაადგილდება და მანქანების გვერდით პარკირდება მაღაზიებთან, კაფეებთან და ა.შ. ამასობაში მუხლუხოებმა გზები იმდენად მოსპო, რომ გაზაფხულზე თავიდან იქნება დასაგები — აქაოდა, „ჩვენი არაა, თქვენ იდარდეთო“. ხოლო გვექნება თუ არა შეკეთების ფული — საკითხავია იმ პირობებში, როცა რუბლიცა და ეკონომიკაც დიდი ხანია, „ძირს სინჯავს“.

ცალკე ისტორიაა „ბუნებასთან ბრძოლა“. დევნილებს ჯერ ქვეყნის დასავლეთში შეშისთვის ტყის განადგურება არ შეუწყვეტიათ — და უკვე ახალი ჭირი გვჭირს: მასობრივად მოდის ცნობები რუსი სამხედროების მიერ გასათბობად და საველე ბანაკების მოსაწყობად ხის ჭრის თაობაზე. გაზაფხულზე, მაღალი ალბათობით, საყვარელ დასასვენებელ ადგილებში შიშველი მიწა, ნახანძრალები და წვრთნების სხვა „კვალი“ დაგვხვდება.

**რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა, ხოლო შემდეგ რუსეთის არმია არასოდეს იყო გარემოსა და კანონებისადმი პატივისმცემელი. ის კი არა, მისთვის ადამიანის სიცოცხლესაც კი ნულოვანი ღირებულება აქვს, ყველაფერი ზემდგომების წინაშე შიშზეა დამყარებული.**

ერთი სიტყვით, თვალნათელია ყველა პირობა იმ განუკითხაობისთვის, რომელსაც დღეს ბელარუსში ვადევნებთ კიდეც თვალს.

რუსული არმია კვების კუთხითაც ძალიან მოიკოჭლებს. გასაკვირი არაა, რომ უფრო სინდისიერი სამხედროები მოსახლეობას თხოვნით მიმართავენ, „რამე გვაჭამეთო“, ხოლო უფრო უსინდისოები უბრალოდ იპარავენ პირუტყვს.

**ამ ფონზე უფრო გჯერა ცნობების, რომლისაც სულაც არ გსურს, დაიჯერო, რომ „წვრთნების“ საფარქვეშ ახლა შეიძლება, უპრობლემოდ შეიძინო იარაღიც, მათ შორის „კალაშნიკოვებიც“. ხოლო ის, რომ რუსი სამხედროები საწვავს, საკვებსა და აღჭურვილობას ყიდიან — სიახლე აღარაა: ან ყიდიან, ან ბარტერი აქვთ გაჩაღებული — ცვლიან სიგარეტსა და ალკოჰოლში.**

ასე რომ განწყობა ამჟამად ბელარუსში დაახლოებით ასეთია: ყველა მოუთმენლად ელის წვრთნების დასრულებას, რომლებიც თათარ-მონღოლების შემოსევას უფრო ჰგავს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება, ითქვას: მსგავსი რამ ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ ყოფილა და ჯობდა, არც გვენახა.

წყარო: „БЕЛАРУССКАЯ ПРАВДА“

# იქნება თუ არა ევროპაში ომი?



**15 თებერვალს მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს შეხვდა. 3-საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ გაიმართა მათი ერთობლივი პრესკონფერენცია. Deutsche Welle-ს ჟურნალისტმა ჰკითხა პუტინს: „იქნება თუ არა ომი ევროპაში? ომს გამორიცხავთ?“. მოგვიანებით რუსეთის ლიდერს დამატებით ჰკითხეს, გამორიცხავს თუ არა იგი უკრაინაზე თავდასხმას. „აქცენტი“ რუსეთის ლიდერის ვრცელი პასუხის თარგმანს გთავაზობს:**

**„რაც შეეხება ომს ევროპაში. ბ-ნმა კანცლერმა ეს წუთია, თქვა, რომ მისი თაობის ადამიანები (მე კი მისი თაობის ადამიანი ვარ) ძნელად თუ წარმოიდგენენ ევროპაში რაიმე ომს. და ეს, რაღა თქმა უნდა, უკრაინის ირგვლივ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ითქვა. მარამ ჩვენ ხომ მოწმენი ვიყავით ევროპაში ომის, რომელიც სწორედ ნატოს ბლოკმა გააჩაღა იუგოსლავიის წინააღმდეგ. მსხვილი სამხედრო ოპერაცია სარაკეტო დარტყმებით ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქზე — ბელგრადზე. ეს ხომ იყო? თანაც გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების გარეშე. ეს ძალიან ცუდი მაგალითია, მაგრამ ეს მოხდა. ეს — პირველი.**

**მეორე. იმასთან დაკავშირებით, გვსურს ჩვენ ეს თუ არა. რა თქმა უნდა, არა. სწორედ ამიტომ წამოვაყენეთ წინადადებები მოლაპარაკებების გასამართად, რის შედეგადაც უნდა მიიღწეს შეთანხმება ტოლად ყველას უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, რუსეთის ჩათვლით. სამწუხაროდ (და ჩვენ ამის შესახებ უკვე ვთქვით), საგნობრივი კონსტრუქციული პასუხი ჩვენს წინადადებებზე არ აგვიღია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ამოსავალი ისაა, რომ იმ დოკუმენტებშიც კი, რომლებიც ნატოელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა მოგვაწოდეს, არის გარკვეული ელემენტები, რომლებიც შეგვიძლია, განვიხილოთ. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, ეს მხოლოდ იმ საკვანძო საკითხებთან ერთობლიობაში გავაკეთოთ, რომლებსაც ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ვიმედოვნებთ და მე დღეს ამის შესახებ ბ-ნ კანცლერსაც ვუთხარი, დიალოგი სწორედ ამგვარად ჩამოყალიბდება. და იმისდა მიხედვით, როგორი განვითარდება იგი, განვითარდება ვითარება ყველა დანარჩენ ტრეკთან მიმართებაშიც, რომლებიც თქვენც და ჩვენც გვაღელვებს — და მერწმუნეთ, თქვენზე არანაკლებ გვაღელვებს ჩვენც.**

* * *

რაც შეეხება იმას, როგორ იმოქმედებს რუსეთი სამომავლოდ? გეგმის მიხედვით. და რა შედის ამ გეგმაში? ვითარება ადგილებზე. ვის შეუძლია პასუხი კითხვაზე, როგორ ჩამოყალიბდება რეალური ვითარება? — ჯერ არავის. ეს მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული. თუმცა ჩვენ ვგეგმავთ და ვისწრაფვით იმისკენ, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ ჩვენს პარტნიორებთან საკითხებზე, რომლებიც დავაყენეთ, მათი დიპლომატიური გზებით გადასაჭრელად. რა საკითხებია ეს — კარგადაა ცნობილი — რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ნატოს არგაფართოება, ბლოკის ინფრასტრუქტურის 1997 წლის მდგომარეობაზე დაბრუნება და ჩვენი საზღვრების სიახლოვეს შემტევი საბრძოლო კომპლექსების არგანთავსება. მე მგონი, ყველაფერი ნათელია და გასაგები. მზად ვართ, სხვა საკითხებზეც ვისაუბროთ, რომლებსაც ჩვენთვის გამოგზავნილი პასუხი შეიცავს, მაგრამ მხოლოდ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთობლივად.

**ახლა რაც შეეხება ნატოს არგაფართოებას. აი, თქვენ თქვით, „ამბობენ, უახლოეს წლებში უკრაინა ნატოში ვერ იქნებაო“. რას ნიშნავს „ამბობენ“? ხომ უნდა გვესმოდეს, რა არის „ამბობენ“ საერთაშორისო ურთიერთობებში? ჩვენ უკვე 30 წელია, „გვეუბნებიან“, რომ ნატო საერთოდ არ გაფართოვდება, არც ერთი დუიმით რუსეთის საზღვრის მიმართულებით. დღეს კი ვხედავთ ნატოს ინფრასტრუქტურას პირდაპირ ჩვენი სახლის წინ. და მეტიც, განიხილება ნატოში უკრაინის გაწევრების საკითხი. ამბობენ, ეს ხვალ არ მოხდებაო. და როდის? ზეგ? და რას გვიცვლის ეს ისტორიულ პერსპექტივაში — აბსოლუტურად არაფერს! გვესმის, უკრაინა დღეს ნატოში გაწევრებისთვის მზად არ არისო. ჩვენ ვიცით ეს თეზისი. და იქვე ამატებენ, რომ მას ხვალ არ მიიღებენ. მიიღებენ მაშინ, როცა ამისთვის მოამზადებენ? მაგრამ ჩვენთვის ეს შეიძლება, უკვე გვიანი იყოს, ამიტომაც გვსურს, ეს საკითხი უკვე დღეს გადავჭრათ, აი პირდაპირ ახლა, უახლოეს ხანებში, მოლაპარაკებების პროცესში. მშვიდობიანი გზით. ჩვენთვის ესაა ამოსავალი და ამის იმედი გვაქვს, რომ პარტნიორები შეისმენენ და სერიოზულად მოეკიდებიან ჩვენს შეშფოთებებს“.**

# გაყვანის ნაცვლად სამხედროებს ამატებს!

**რუსეთმა უკრაინის საზღვართან განთავსებულ შეიარაღებულ ძალებს 7 000 სამხედრო დაამატა. აღნიშნულთან დაკავშირებით „სიენენი“ ინფორმაციას აშშ-ის ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ოფიციალური პირის განცხადებით, სამხედროების დამატება ცხადყოფს, რომ შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ რუსეთის განცხადება ყალბია, ხოლო ვლადიმერ პუტინის განცხადება დიპლომატიის მიმართ ღიაობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბია.

**„ყველა მაჩვენებელი, რაც ახლა გვაქვს, მიუთითებს, რომ ისინი მხოლოდ საჯაროდ აკეთებენ განცხადებებს დიალოგის, ასევე დეესკალაციის შესახებ და ამავდროულად ომისთვის მობილიზებას ახორციელებენ“,** — განაცხადა მაღალჩინოსანმა. ოფიციალური პირის თქმით, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მოსკოვი კვლავ მუქარის პოზიციაში იმყოფება და უკრაინის საზღვრებთან და ბელარუსში 150 ათასზე მეტი სამხედრო ჰყავს განთავსებული. ამასთან, ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ რუსეთმა შესაძლოა, გამოიყენოს ცრუ მიზეზი თავდასხმისთვის, მათ შორის ნატო-ს შეჭრა რუსეთის ტერიტორიაზე. ან განცხადება აღმოსავლეთ დონბასში უკრაინის მხრიდან სასტიკი ქმედებების შესახებ. ზემოაღნიშნულთან ერთად, ამერიკელმა მაღალჩინოსანმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები გაგრძელდება.



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის**
**(შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი**
**სესხის # 3861-GEO**
**პროექტის # 53178-001**
**დავალების სახელწოდება:** პროექტის განმახორციელებელი სპეციალისტი
**საიდენტიფიკაციო #** SAPR/CS/ICS-03

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **პროექტის განმახორციელებელი სპეციალისტი.**

დავალების მიზანია:

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვების სამსახურის დახმარება საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების, კონტრქტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებსა და არსებული და მომავალი პროექტების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, აზიის განვითარების ბანკის მსესხებლების შესყიდვების რეგულაციების მიხედვით (2017 წელი). კერძოდ, კონსულტანტი დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ქვემოთ ჩამოთვლილი დავალებების შესრულებაში:

**შესყიდვებთან დაკავშირებული მოვალეობები:**

- შესყიდვების პროცედურების განხორციელება შესყიდვების გეგმისა და აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების მიხედვით;
- შესყიდვების ზოგადი და კონკრეტული შეტყობინებების, ტენდერის მონაწილეების მოწვევების, ინტერესთა გამოხატვის განცხადებების და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის მომზადება;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და შესწორება საჭიროების მიხედვით;
- ტექნიკური დავალებების მომზადებაში მონაწილეობა;
- იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების პროცედურა საჭიროებს აზიის განვითარების ბანკის წინასწარ თანხმობას, აზიის განვითარების ბანკში დოკუმენტაციის წარდგენის კოორდინაცია, თანხმობის მიღების მეთვალყურეობა შესყიდვების პროცესის სხვადასხვა დონეებზე და შემდგომი ქმედებების განხორციელება;
- აზიის განვითარების ბანკის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებით დასმულ სხვადასხვა საკითხებზე დროული პასუხების გაცემის მონიტორინგი. საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, წინადადებების წარმოდგენის მოწვევის გავრცელების შემდეგ კონსულტანტების შემდგომი ქმედებების მონიტორინგი, მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- პროექტების წლიური შესყიდვების გეგმების მომზადება და განახლება, ისევე როგორც დეტალურად გაწერილი ბიუჯეტის მქონე საკონტრაქტო პაკეტების მომზადება (სავარაუდო ღირებულებების ჩათვლით) საქონლის, საკონსულტაციო მომსახურებისა და არასაკონსულტაციო მომსახურებისთვის.
- შესყიდვების განხორციელების მონიტორინგი და შესყიდვების გეგმების განახლება საჭიროების შემთხვევაში;
- საკონსულტაციო მომსახურებისა და სამუშაობის შესყიდვის განხორციელება;
- საქონლისა და საკონსულტაციო მომსახურების სტატუსების შესახებ ანგარიშების დროული მიღების უზრუნველყოფა;
- პროექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის სათანადოდ შენახვა;
- ტენდერის გახსნის და შეფასების პროცედურებში მონაწილეობა და შესაბამისი რეგულაციების დაცვა კონტრაქტების მინიჭებისას;
- პროექტის განხილვებისა და შესყიდვების აუდიტებში მონაწილეობა;
- კონტრაქტებთან და შესყიდების პროცედურებთან დაკავშირებულ დავებში დახმარების გაწევა.

**პროექტის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები:**

- მშენებლობის ზედამხედველის მიერ მომზადებული ანგარიშებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის რეგულარულად მოპოვება;
- მშენებლობის ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების რეესტრის წარმოება;
- წარმოდგენილი ინფორმაციის (ზედამხედველისა და კონტრაქტორის მიერ) შეჯამება და ანალიზი დამკვეთის მიერ მისი განხილვის მიზნით;
- საველე მივლინებებში მონაწილეობა სამუშაოების დადგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით;
- სამუშაოების მონიტორინგის მონაცემთა ბაზის მომზადება და რეგულარული განახლება;
- მშენებლობის ზედამხედველისთვის მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- კონტრაქტის ცვლილებების მომზადება;
- წარმოსადგენილი დოკუმენტაციის დროული მოწოდების მონიტორინგი;
- პროექტის სახსრების ხარჯვის პროგნოზების მომზადება;
- დამკვეთის დახმარება გახარჯვის პროცედურებში.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტები კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა გადავიდნენ შემდეგ ბმულზე:

https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=176662

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით** აზიის განვითარების ბანკის „შესყიდვების რეგულაციების“ მიხედვით.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**

- უმაღლესი განათლება ფინანსების, იურიდიულ, სახელმწიფო მართვის, საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა შესაბამის სფეროში;
- სასურველია 5 წლიანი გამოცდილება აზიის განვითარების ბანკისა და/ან სხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესყიდვების განხორციელებაში (აზიის განვითარების ბანკის პროექტების შესყიდვების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);
- FIDIC ის კონტრაქტების გამოცდილება (FIDIC ჰარმონიზებული და/ან 2017 წლის ვერსიები ჩაითვლება უპირატესობად);
- შესყიდვების ინსტიტუციური, ტექნიკური და კომერციული ასპექტების კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სალაპარაკო და წერილობითი ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერული უნარები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: Word, Excel, PowerPoint;
- ანგარიშგების კარგი უნარი, კომუნიკაბელურობა.

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
East-West Highway (Shorapani-Argveta Section)
Improvement Project
**Loan No.** 3861-GEO
**Project No.** 53178-001
**Assignment Title: PROJECT IMPLEMNTATION SPECIALIST**
**Reference No:** SAPR/CS/ICS-03

Georgia has received financing from the Asian Development Bank towards the cost of **East-West Highway (Shorapani-Argveta Section) Improvement Project** consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Project Implementation Specialist.**

The objective of the assignment is to:

Assist RDMRDI's Foreign Projects'/International Procurement Division in activities related to procurement of goods, works and consultancy services to be implemented according to Procurement Regulations for ADB Borrowers (2017, as amended from time to time), in contract management, monitoring and evaluation issues and other aspects related to project management of the existing and future projects. In particular, the Consultant will assist the RDMRDI with carrying out the tasks detailed below, and other tasks as necessary:

Procurement related duties:

- Ensuring that procurement procedures are carried out in accordance with the Procurement Plan and Asian Development Bank Guidelines;
- Preparing General Procurement Notice (GPN), Specific Procurement Notices (SPNs), Invitation for Bids (IFBs), Request for Expressions of Interest (REOIs) and other solicitation documents whenever required;
- Preparing and amending bidding documents as needed;
- Contribute to preparation of Terms of References (ToR);
- In case of procurement actions requiring ADB's "No Objection", coordinating dispatch of procurement document to ADB, monitoring ADB's response time on issuing "No Objections" at different levels of procurement process and following up accordingly;
- Monitoring and ensuring timely responses to procurement questions raised by the ADB. For services following up with the shortlisted consultants within 10 days of RFP dispatch, to ensure their participation in the selection exercise;
- Preparing and updating the Projects' Annual Procurement Plan and Budget Detailed contract packages (including estimated cost) for goods, consultancy services and non-consulting services, the procurement/selection methods and processing times until completion of each procurement activity;
- Monitoring procurement implementation of and update of the Procurement Plan whenever it becomes necessary to do so;
- Carrying out procurement of Civil Works and Consultancy Services;
- Ensuring timely receipt of the goods and consultant's status reports;
- Maintaining all correspondence, bidding documents, evaluation reports and other documents related to the project;
- Participating in bid/proposal opening sessions, bid and proposal evaluations and ensuring that the appropriate guidelines are followed to arrive at the recommendations for award of Contracts;
- Participating in procurement audits and reviews of the Project;
- Assisting in dealing with claims, bid challenges and litigations relating to contracts and procurement.

Project Management related duties:

- Collect the reports submitted by Supervision Engineer and any other relevant information on a regular basis;
- Maintain the register of reports submitted by Supervision Engineer;
- Summarize and analyze the collected information (from Engineer and Contractor) for review by the Employer;
- Carry out project site visits for monitoring of the progress of works in accordance with agreed targets;
- Develop and regularly update the database of monitoring activities;
- Provide Supervision Engineer with feedback, based on monitoring results;
- Preparation of contract amendments;
- Monitor the submission of deliverables;
- Preparations of the disbursement forecast;
- Assist the Employer in disbursement procedures.

The estimated duration of assignment is 12 months.
Interested individuals shall follow the link to participate in the selection:
https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=176662
A consultant will be selected in accordance with the "Selection of Individual Consultants" procedures set out in Asian Development Bank's "Procurement Regulations for ADB Borrowers" on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

Required Qualification of the Consultant:

- A university degree or professional qualification in finance, law, public administration, international relations or any relevant field;
- Preferably 5 years of experience of working in procurement-related activities for the Asian Development Bank and/or other Multilateral Development Banks (MDB) funded projects (working experience under ADB financed projects will be an advantage);
- Experience of working on FIDIC contracts (experience with MDB Harmonized and/or FIDIC 2017 versions will be an advantage);
- Good knowledge of the institutional, technical and commercial aspects of procurement;
- Proven team working skills;
- Superior verbal and writing communication skills in English and Georgian languages;
- Proficiency in standard desktop computer applications, including but not limited to Word, Excel, PowerPoint;
- Good reporting and interpersonal skills.

◎ ხუთი რგოლი



# ფარდის დაშვების წინ

**პეკინის ოლიმპიადის ფინიშამდე ორი დღით ადრე სოსო ჯაფარიძემ სათხილამურეთა ტურნირის სლალომში იასპარეზა და ორი ცდის ჯამში 32-ე ადგილი დაიკავა. ეს შედეგი დასაფასებელია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 90 მონაწილიდან ფინიშამდე ნახევარმა ვერ მიაღწია.**

რაც შეეხება ფიგურისტ **ანასტასია გუბანოვას,** როგორც უკვე გაუწყეთ, მოკლე პროგრამაში დაკავებული მეათე ადგილით 19 წლის „ჯვაროსანი" ფინალში გავიდა, ხოლო გუშინ თავისუფალ პროგრამაში სრიალით საბოლოოდ მე-11 პოზიციაზე დამკვიდრდა..

შეგახსენებთ, რომ მან ოლიმპიურ სეზონში მანამდე ფინეთის საერთაშორისო ტურნირი მეხუთე ადგილით დაასრულა (მოკლე პროგრამა), შემდეგ ზაგრებში გაიმარჯვა, ევროპის ჩემპიონატზე ტალინში კი მეშვიდე იყო.

### ჩემპიონთა გალერეა

**სამთო თხილამურები.** სუტერი (შვეიცარია), ნოელი (საფრანგეთი);

**ბიატლონი.** ნორვეგია, შვედეთი.

**თხილამურებით რბენა.** გერმანია, ნორვეგია;

**ფრისტაილი.** გრემო (შვეიცარია), ჰოლი (აშშ), გუანგ პუკი (ჩინეთი);

**ჩრდილოური ორჭიდი.** გრააბაკი (ნორვეგია;

**სნოუბორდი.** გარესი (ავსტრია), იიმუნსუ (ჩინეთი).

**ციგურებით რბენა.** კანადა, ნორვეგია;

**ბობსლეი.** ფრიდრიხი (გერმანია);

**შორტ-ტრეკი.** კანადა, მინჟოენგ ჩოი (კორეა);

**ჰოკეი.** ქალები. კანადა. ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალში დღეს ითამაშებენ: ფინეთი – სლოვაკეთი, შვედეთი – რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი.

### მედალოსანთა ნადავლი

**ნორვეგია – 28 (13, 7, 8), გერმანია – 20 (10, 6, 4), აშშ – 19 (8, 7, 4), ჩინეთი – 13 (7, 4, 2), ავსტრია – 17 (6, 7, 4), ნიდერლანდები – 14 (6, 4, 4), შვედეთი – 14 (6, 4, 4), შვეიცარია – 10 (5, 0, 5), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი – 24 (4, 8, 12), საფრანგეთი – 13 (4, 7., 2), კანადა – 18 (3, 4, 11).**

2-2 „ოქრო" აქვთ აქტივში იტალიას, იაპონიას, კორეას და სლოვენიას, ხოლო თითო – ფინეთს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, უნგრეთს, ჩეხეთსა და სლოვაკეთს.

◎ ინფორმაცია

# საფეხბურთო მოზაიკა

**კვირას ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე ახალი სეზონის პირველი ქართული საკლუბო ტიტული გათამაშდება ქვეყნის ჩემპიონ „ბათუმსა" და თასის მფლობელ „საბურთალოს" შორის და, რაც მთავარია, სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასისათვის გასამართავ ბრძოლას გულშემატკივარი დაესწრება!**

აღნიშნული ტურნირი 1996 წლიდან ტარდება და წინა ოც მცდელობაში 14 გუნდი მონაწილეობდა. ბუნებრივია, ყველაზე მეტჯერ მეტოქეებს ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა თბილისის „დინამომ" აჯობა – 8 (12-დან). დანარჩენი ლაურეატები არიან: „ტორპედო", „ზესტაფონი", „ამერი" – 2-2, „ჩიხურა", „ბათუმი", „მეტალურგი", „ვიტ ჯორჯია", „საბურთალო" და „სამტრედია" – თითოჯერ.

ალბათ, დაგაინტერესებთ იმ ქალაქებისა და სტადიონების ნუსხა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრებს უმასპინძლა: თბილისის „მიხეილ მესხი"-7, „დინამო არენა" და ბათუმი – 3-3, გორი – 2, მარტვილი, ქუთაისი, რუსთავი, დავით პეტრიაშვილის სახელობისა და მესხის სათადარიგო.

პრესტიჟული ჯილდო სარეკორდოდ – ხუთჯერ მოიპოვა გივი დიდავამ, ხოლო ოთხოთხჯერ იზეიმეს წარმატება როინ კვასხვაძემ და გრიგოლ დოლიძემ.

ეს უკანასკნელი ლიდერობს ბომბარდირთა დავაშიც – 5 მატჩში 4 გოლი.

მწვრთნელთა შორის 2-2 გამარჯვებით საუკეთესო შედეგი აქვთ გიორგი ჩიხრაძესა და კახა ჩხეტიანს, მსაჯთაგან კი ყველაზე მეტჯერ ნდობა გიორგი ვადაჭკორიას გამოუცხადეს – 4.

და ბოლოს: კახა გოგიჩაიშვილი ერთადერთია, ვინც როგორც მოთამაშემაც და ვინც როგორც მწვრთნელმაც მოიხვეჭა საპატიო ტიტული.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა.** პირველი მერვედფინალური შეხვედრები. „ინტერი" – „ლივერპული" 0:2 (ფირმინო, სალაჰი); „ზალცბურგი" – „ბაიერნი" 1:1 (ადამუ, კომანი).

* * *

**ესპანეთის პრიმერა-დივიზიონი.** გამოტოვებული მატჩი. „ატლეტიკო" – „ლევანტე" 0:1.

◎ მოვლენის წინ

# მეტოქის რჩეულნი

**რამდენიმე დღეც და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატის (იაპონია, ინდონეზია, ფილიპინები) წლევანდელ საკვალიფიკაციო ციკლში ჩაებმება ჩრდილოეთ მაკედონიასთან 2 მატჩით (24 თებერვალს – თბილისში და 27 თებერვალს – სკოპიეში).**

FIBA BASKETBALL WORLD CUP PHILIPPINES · JAPAN · INDONESIA 2023

„ჯვაროსანთა" ბანაკში სასიკეთო სიახლეა გუნდის კაპიტან **თორნიკე შენგელიას** გამოჯანმრთელება, რომელიც ხვალ მოსკოვში ვითიბი ლიგის ყველა ვარსკვლავის შეხვედრაში ითამაშებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრავმა **ბექა ბურჯანაძემაც** მოიშუშა, სავარაუდოა, რომ ბალკანელებს ოპტიმალური შემადგენლობით გავუმართავთ ბრძოლებს.

რაც შეეხება მეტოქეს, მისმა თავკაცმა **დრაგან ბაიჩმა** გაფართოებულ შემადგენლობაში 24 რჩეულს უხმო, საიდანაც მეოთხედი ლეგიონერია (3 ესპანურ, 2 აშშ-ს კოლეჯებისა და 1 რუმინულ ლიგებს წარმოადგენენ). „ვალენსია", „ბარსელონა", „ბეტისი", აღმოსავლეთ მიჩიგანი, ვაშინგტონ სტეიტი და „პლოეშტი" – აი, დასახელებულ კლუბთა ნუსხა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ჯერჯერობით თითო მოგება (უკრაინასთან) და წაგება (ესპანეთთან) აქვს, ხოლო სტუმრებმა ორივე მატჩი დათმეს.

◎ თაობა

**გერმანიის ქალაქ ფრეზინგში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების წილისყრა გაიმართა. მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქი 2022 წლის 15-24 ივლისს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონს უმასპინძლებს და ჩვენი ინტერესიც, ცხადია, უმეტესწილად ამ ასაკზეა მიპყრობილი.**

ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, **ვლადიმერ ბოისა**, რომელიც წილისყრაში უშუალოდ მონაწილეობდა და ჯგუფებში რამდენიმე ნაკრებს ადგილიც მიუჩინა.

# შესარჩევის კონტურები




### 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (B დივიზიონი)

მთლიანობაში, თბილისში გასამართავი ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მონაწილეობას 20 ქვეყნის ნაკრები მიიღებს. შეიქმნა 5 გუნდისგან შემდგარი 4 ჯგუფი. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გავა, რომლებიც საუკეთესო სამეულში მოსახვედრად ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ. სწორედ 3 საუკეთესო ნაკრებს ერგება ევროპის ჩემპიონატის ელიტარული, A დივიზიონის საგზური.

თბილისში 15-24 ივლისს გასამართავი ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება და საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ საკმაოდ ძლიერი სერბეთის, ლატვიისა და პოლონეთის ნაკრებები.

### 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (B დივიზიონი)

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონი რუმინეთის ქალაქ ორადეაში 2022 წლის 29 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ნიდერლანდებთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, ბულგარეთთან, ნორვეგიასთან და კოსოვოსთან ერთად მოხვდა. ამ ასაკობრივ ჩემპიონატში B დივიზიონში 24 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც 4 ჯგუფში გადანაწილდნენ. აქედანაც 2-2 საუკეთესო გავა მერვედფინალში და A დივიზიონში გადასასვლელი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

### 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (B დივიზიონი)

16-წლამდელთა B დივიზიონი 11-20 აგვისტოს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდება. აქაც 24 ქვეყნის ნაკრები შეიკრიბება და გათამაშების ფორმატიც სხვა ასაკობრივი პირველობების ანალოგიური იქნება. D ჯგუფში მოხვედრილი საქართველოს მეტოქეები იქნებიან ესტონეთი, ბელგია, უნგრეთი, კვიპროსი და ავსტრია.

### 18 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (C დივიზიონი)

ვაჟებთან ერთად ჩატარდა გოგონათა ევროპირველობათა კენჭისყრაც. საქართველოს ნაკრებები 18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატებში ასპარეზობენ. 18-წლამდელთა ნაკრები C დივიზიონში იასპარეზებს, რომელსაც 26-31 ივლისს ანდორა უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მეტოქეები ჯგუფში იქნებიან გიბრალტარისა და მოლდოვას გუნდები.

### 20 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (B დივიზიონი)

რაც შეეხებათ 20-წლამდელ გოგონებს, B დივიზიონი ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გაიმართება და მასში 19 ქვეყნის ნაკრები ითამაშებს. საქართველო B ჯგუფში გერმანიის, ისრაელის, ისლანდიისა და სომხეთის ნაკრებებთან იასპარეზებს.

◎ ფორუმზე

# „ათიანი" მინსკში

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა 4 მედლით გახსნა მინსკში დაწყებული ევროპის თასის გათამაშება – 1 „ოქრო" (მინდია ლილუაშვილი -71 კგ); .2 „ვერცხლი" (ელენე ქებაძე +80 კგ, გიორგი ზაქარიაძე +98 კგ) და 1 „ბრინჯაო" (დავით ლორიაშვილი +98 კგ).**

უკეთ იჭიდავეს „ჯვაროსნებმა" მეორე საშეჯიბრო დღეს და ჩვენი გუნდის ყულაბა 10 ჯილდომდე გაამდიდრეს, თანაც 97 კილოში სულაც ქართული ფინალი გაიმართა: **„ოქრო"** – ბესარიონ ბერულავა (79 კგ) და ნინო ოძელაშვილი (80 კგ); **„ვერცხლი"** – გიორგი ნასყიდაშვილი (64 კგ), პაატა ღვინიაშვილი (98 კგ) და ომარ ნიაზაშვილი (79 კგ); **„ბრინჯაო"** – გიორგი კანკავა (საბრძოლო სამბო).

# მოკლედ

**ჩოგბურთი. დოჰას პრესტიჟული ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა. მან 2 პარტიაში დაამარცხა შვედი ელიას იმერი – 6:4, 7:5 და 8-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.**

**სუმო.** ოსაკაში ორწლიანი კოვიდპაუზის შემდეგ გასამართავი საგაზაფხულო ჰარუ ბაშოს სტარტამდე ერთ თვეზე ნაკლებია დარჩენილი, თუმცა დამაფიქრებელია ახალი – ომიკრონის შტამით ინფიცირებულ გოლიათთა რაოდენობა – 800-დან 250-ზე მეტი, მათ შორის – **ტოჩინოშინი** (ლევან გორგაძე).

**თოვლის ფრენბურთი.** ბაკურიანი. ქვეყნის ჩემპიონატი. მამაკაცთა 10 გუნდი. **პრიზიორები.** ცაგერი – 1, ცაგერი –2, სტუ.

# ჭიკაიძეების მრავალშვილიან ოჯახს ხის ახალ სახლს აუგებენ



**მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ, ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, ჭიკაიძეების მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხომში ცხოვრობს, საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გადასცა.**

რწმუნებულმა მათ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივის შესახებ, რომლის მიხედვითაც, 1 მარტიდან სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა იწყება.

დავით ნოზაძის განცხადებით, სურვილის შემთხვევაში, ოჯახს შესაძლებლობა ექნება აღნიშნული პროგრამით ისარგებლოს და დამატებითი შემოსავალი მიიღოს.

თავის მხრივ, დახმარების სურვილი გამოთქვეს ბიზნესის წარმომადგენლებმაც. მათ ადგილზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკუთარი სახსრებით ჭიკაიძეების ოჯახს, რომელიც 7 წევრისგან შედგება და მათ შორის 4 მცირეწლოვანი ბავშვია, უახლოეს კვირებში ხის ახალ კომფორტულ სახლს აუშენებენ.

# 300+300 სოცდაუცველების დასაქმების სამთავრობო პროგრამა

(მეოთხე გვერდიდან)

პროგრამის ბიუჯეტი შეიძლება 100-150 მლნ ლარი იყოს მიმდინარე წლისთვის, ამის რესურსების მობილიზება კი შესაძლებელია და გათვლებიც უკვე არსებობს.

**„ასე, ეტაპობრივად დავიწყებთ პროგრამას და მომავალში შეიძლება ცვლილებებიც შევიდეს. საბოლოო მიზანი არის ამ ადამიანების სრულად ინტეგრაცია შრომის ბაზარზე. იმედი გვაქვს, რომ შედეგი გვექნება სხვა ქვეყნების მსგავსი — ადამიანების ინტეგრირება მოხდება შრომის ბაზარზე და საზოგადოებრივი სამუშაოების შეთავაზება საჭირო არ იქნება“,** — განაცხადა დავითაშვილმა.

მთავრობის სოცდაუცველი მოქალაქეების დასაქმების პოლიტიკას დადებითად აფასებენ ეკონომისტები, თუმცა იქვე ყურადღებას ამახვილებს მოსალოდნელ საფრთხეზე, რასაც, პირველ რიგში, ინფლაციასთან დაკავშირებით ხედავენ.

**„მთავრობა გეგმავს, რომ დასაქმებულ სოციალურად დაუცველებს დამატებით 300 ლარი გადაუხადოს. ფულის დარიგება, რომელიც არ ქმნის პროდუქტს, იწვევს ინფლაციას, მსგავსი პრობლემები იყო წინა ხელისუფლების დროსაც, როცა ადამიანები დაასაქმეს ისე, რომ რეალურად ხელფასები დაარიგეს და მერე ამან ინფლაცია გამოიწვია. ამ დეტალებს სჭირდება კარგი ანალიზი, რათა რისკები გამოირიცხოს.**

**სხვა მხრივ, ადამიანების დასაქმებას ალტერნატივა არ აქვს, ეს ერთადერთი გზაა, რომ სიღარიბე დავძლიოთ და შემოსავალი გავზარდოთ, რაც საბოლოოდ ეკონომიკურ ზრდაზეც დადებით გავლენას მოახდენს“,** — განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში 4 წლის განმავლობაში სოციალური დახმარება არ შეუჩერდებათ.

**ბექა დანელია**



# საქართველოში ხორცისა და რძის წარმოება გადიდდა!

**საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 577.5 მლნ. ლიტრით განისაზღვრა, რაც 1.5%-ით აღემატება 2020 წლის შედეგს.**

ხორცის წლიურმა წარმოებამ 72.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3.9%-ით აღემატება. კვერცხის წლიურმა წარმოებამ 637.7 მილიონი ცალი და, 2020 წელთან შედარებით, 5.5%-ით ნაკლები შეადგინა.

# გასულ წელს საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა, ღორისა და ფრინველის კი შემცირდა!

საქსტატმა საქართველოს სოფლის მეურნეობის 2021 წლის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, 2021 წლის ბოლოსთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 935.2 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 1.0%-ით მეტია.

აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 434.4 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.6%-ით ჩამორჩება. ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა 20.8%-ით შემცირდა და 750.0 ათასი სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 161.0 ათასი სული იყო, რაც 2.8%-ით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ფრინველის რაოდენობამ 9.0 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 10.9%-ით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

# პოლიციამ დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ფაქტზე 6 ადამიანი დააკავა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში 6 პირი დააკავეს, ორ პირს კი ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა.**

მათ ბრალად ედებათ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გამოძალვა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და დანაშაულის შეუტყობინებლობა.

**გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ა.მ. და 1978 წელს დაბადებული მ.მ.; გამოძალვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ბრალდებით დაკავებულები არიან: 1970 წელს დაბადებული კ.ნ. და 1972 წელს დაბადებული გ.ლ; დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1977 წელს დაბადებული გ.ჭ, 1999 წელს დაბადებული ა.ნ., ხოლო 2 პირს: 1969 წელს დაბადებულ რ.ჭ.-ს და 1974 წელს დაბადებულ ს.ჭ.-ს ამავე დანაშაულისთვის ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, 1992-1993 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის 23-ენ ბრიგადის მეთაურის, ქ. სოხუმის გარნიზონის უფროსის, გენერალ-მაიორის, ვახტანგ გორგასლის I და III ხარისხის ორდენის კავალერის გენო ადამიას მეუღლე**

## ლერა ივლიანეს ასული ადამია

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**შალვა მგალობლიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი**

## მერაბ სტურუა

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

# ფოთში ჩვილის მკვლელ დედას პატიმრობა შეეფარდა

**ფოთში ჩვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ დედას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მიიღო. პროკურატურის ცნობით, 10 თებერვალს ფოთში ქალმა განზრახ მოკვლის მიზნით მისი ახალშობილი შვილი გაგუდა, შემდეგ კი საკანალიზაციო მილში მოათავსა. ჩვილის ცხედარი 14 თებერვალს იპოვეს. იმავე დღეს დააკავეს ბავშვის დედა.**

მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა. ქალს პატიმრობა შეეფარდა. თავის მხრივ, დაცვის მხარე გირაოს შეფარდებას ითხოვდა. ადვოკატის თქმით, ბრალდებული დედა ბრალს ნაწილობრივ აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადაა.

**„განზრახვასთან დაკავშირებით ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, იმიტომ რომ გამოძიება მიმდინარეობს ამ საქმეზე, ექსპერტიზის დასკვნა არ დევს საქმეში. რაც შეეხება, თანამშრომლობას, ის თანამშრომლობს გამოძიებასთან. ბრალი ახალშობილის განზრახ მკვლელობაზე აქვს წარდგენილი, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებები სხვანაირადაა. ბრალს ნაწილობრივ ეთანხმება,“** — განაცხადა ბრალდებულის ადვოკატმა. შეგახსენებთ, 14 თებერვალს ფოთში, დევნილთა დასახლებაში ჩვილის ცხედარი მას შემდეგ ნახეს, რაც საკანალიზაციო მილი გაიჭედა და დასახმარებლად სანტექნიკოსი გამოიძახეს.

# პროკურატურამ ყალბისმქნელებს ბრალდება წარუდგინა

**ყალბი ფულის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ბ.ც.-ს და ლ.ჩ.-ს ბრალდება წარედგინა,** — ამის შესახებ აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.ც. და ლ.ჩ., ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინაში განთავსებული სპეციალური საშუალებების გამოყენებით სისტემატურად ამზადებდნენ ყალბ 50 და 100-ლარიან კუპიურებს, რომლებიც 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 12 თებერვლის ჩათვლით თბილისსა და რუსთავში მდებარე რვა ობიექტში გაასაღეს, ხოლო 7 ობიექტში ყალბი კუპიურების გასაღება სცადეს.

„სამართალდამცველებმა ბ.ც. და ლ.ჩ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე 15 თებერვალს დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან ყალბი კუპიურების დასამზადებელი მოწყობილობები და გასასაღებლად გამზადებული 34 ერთეული ყალბი 50 და 100-ლარიანი კუპიურები ამოიღეს.

ორივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

თქვენგან გაღებული თითოეული ლარი გადაარჩენს ამ ყველაზე საჭირო გაზეთს!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!




ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



## ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი ზედა სიმონეთში

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა სიმონეთში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი და რეკრეაციული სივრცე მოეწყო.**

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და დაღუპული გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს.

**„მადლობა ყველა დედას, რომელთა გაზრდილი შვილები შეეწირნენ ჩვენი ქვეყნის ერთიანობას, მადლობა თქვენ, მებრძოლებო საკუთარი სიცოცხლის ფასად, რომ იცავთ სამშობლოს და ჯეროვნად დგახართ ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე. ჩვენ ვალდებულები ვართ თითოეული გმირის სახელი უკვდავვყოთ და მათი გმირობის შესახებ გადავცეთ მომავალ თაობებს. დღევანდელი ღონისძიებით, ჩვენ პატივი მივაგეთ 2008 წლის ომში დაღუპული გმირის ხსოვნას. ვისურვებ, რომ ასეთი მსხვერპლის გაღება არასდროს იყოს საჭირო ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის“** — თქვა ზვიად შალამბერიძემ.



## არაგვში კალმახი მომრავლდება

**ველური ბუნებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტებმა, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მდინარე ფშავის არაგვი 30 000 კალმახის ქვირითით დაათევზიანეს.**

მდინარის კალმახის ინკუბირებული ქვირითისა და ლარვის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს, ადამიანის მინიმალური ჩარევით, მოწყვლადი სახეობის მომრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკის პროცენტს. ქვირითი ნაყოფიერდება ხელოვნურად, გამოჩეკამდე მდინარის ინკუბატორში თავსდება და წყლის მდორე უბეებში ეწყობა.

სახეობების გამრავლების ხელშეწყობის აღნიშნული მეთოდი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია აპრობირებული, რადგან ასე გამოჩეკილი ლიფსიტა ველურ ბუნებაში მარტივად ახდენს ადაპტაციას.

## ტრაგედია მეთევზეობის ინდუსტრიაში

**კანადის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ნიუფაუნდლენდთან, ესპანური ტრაულერი (თევზსაჭერი გემი) ჩაიძირა. გემზე სულ 24 ადამიანი იყო — 16 ესპანელი, 5 პერუელი და 3 განელი.** მაშველებმა მხოლოდ 3 ადამიანის გადარჩენა შეძლეს, 9 ცხედარი იპოვეს და 12 დაკარგულად მიიჩნევა.

**„განადგურებული ვარ, ამის ატანა არ შემიძლია. შვილებს ვერ ვაჩვენებ, როგორ ვგრძნობ თავს, რადგან მათ ჯერ არ იციან“,** — ამბობს ერთ-ერთი დაკარგულის, 29 წლის კაცის მეუღლე, რომელსაც 4 შვილი ჰყავს. ჯერ უცნობია, რამ გამოიწვია ტრაულერის ჩაძირვა. გემი 2004 წელს ააგეს. ტრაგედიის მსხვერპლთა პატივსაცემად, მადრიდში, პარლამენტის სხდომა წუთიერი დუმილით გაიხსნა. ესპანეთის სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მინისტრმა ლუის პლანასმა თქვა, რომ ეს ყველაზე დიდი ტრაგედიაა მეთევზეობის ინდუსტრიაში 1984 წლის შემდეგ, როდესაც კანარის კუნძულებზე ნავი „ისლამარ III“ ჩაიძირა. შემთხვევას 26 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.



## სოკოების შემგროვებელი რობოტი

**კანადელმა ინჟინერმა, მეჰრდად ქერმანიმ შექმნა რობოტი, რომელსაც სოკოების შეგროვება ადამიანზე უფრო სწრაფად და ხარისხიანად შეუძლია.**

რობოტი უკვე მუშაობს ონტარიოს ერთ-ერთი ფერმაზე. მას რბილი სოკოების მოჭრა ადამიანზე უფრო აკურატულად ეხერხება. რობოტს ასევე შეუძლია სოკოს სკანირება და მისი სიმწიფის დადგენა. თუ სოკო ჯერ არ მომწიფებულა, რობოტი მას მონიშნავს და მოგვიანებით, საჭირო დროს დაბრუნდება.



## ბერლინალეს გამარჯვებული

**ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულები გამოვლინდნენ.** „ოქროს დათვი“ საუკეთესო ფილმის კატეგორიაში კარლა სიმონის ფილმს **„ალკარასს“** გადაეცა.

„ვერცხლის დათვის“ მფლობელი კრელ დენი გახდა ფილმისთვის **„დანის ორივე მხარე“.** ჟიურის გრან პრი და „ვერცხლი დათვი“ მჰონგ სანგსუმ მოიპოვა სურათისთვის **„ნოველისტის ფილმი“.** კინოფესტივალზე, რომელიც ოფიციალურად 20 თებერვალს დასრულდება, წელს 250-მდე ფილმი იყო წარმოდგენილი.



## ინდური ფილმების მოყვარულთა კერპი გარდაიცვალა

ბაპი ლაჰირი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში წერდა და ასრულებდა სიმღერებს ინდური ფილმებისთვის, 69 წლისა გარდაიცვალა.

**„ის იტანჯებოდა ძილის ობსტრუქციული აპნოეთი (OSA) და გულმკერდის არეში ინფექციით“,** — აცხადებს მისი ექიმი.

ლაჰირი 29 დღის განმავლობაში იყო საავადმყოფოში, საიდანაც 15 თებერვალს გაწერეს. მისი მდგომარეობა კვლავ დამძიმდა, სამედიცინო დაწესებულებაში კრიტიკულ მდგომარეობაში დააბრუნეს და ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს. ლაჰირს „ინდური დისკოს მეფედ“ მოიხსენიებდნენ. სწორედ მისი დაწერილია სიმღერები ფილმისთვის „დისკოს მოცეკვავე“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 21 თებერვალს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9934; ევრო - 3.4065;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0602;
100 რუბლი - 3.9877; თურქული ლირა - 0.2194;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7600;
1000 სომხური დრამი - 6.2452.

**ამინდი 18 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -10, | დღე | +11 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +14 |
| თბილისი: | ღამე | -2, | დღე | +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge